პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
16 მარტი
№ 64 (17409)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



ყამირის მიწა ძალას იკრებს

ნასვენი და ყამირი მიწების ათვისების XXV წლისთავისადმი

მიძღვნილი საზეიმო სხდომა ალმა-ათაში

საბჭოთა ხალხის გმირული მიღწევების მატიანეში მკაფიო ფურცლად ჩაიწერა ქვეყნის აღმოსავლეთში თავისი მასშტაბით უმაგალითო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ეპოპეა. პარტიის ნებით, საბჭოთა ადამიანების — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლების, სოფლისა და მრეწველობის მშრომელთა, დემობილიზებულ მეომართა, კომკავშირელთა, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდების თავდადებული შრომით იმ მიწებზე, რომლებზეც საუკუნეთა მანძილზე ბუთანს არ გაევლო, დიდი მარცხლეულის მეურნეობანი შეიქმნა.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების 25 წლისთავის სახელოვან იუბილეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 14 მარტს გაიხსნა ალმა-ათის ვ. ი. ლენინის სახელობის სასახლეში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უზბეკთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა; მან წაიკითხა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, მეცნიერებისა და სპეციალისტებისადმი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისადმი, ყამირი და ნასვენი მიწების ყველა მონაწილისადმი. მისალმებას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. სხდომის მონაწილეთა, ყამირის ვეტერანთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით დ. ა. კუნაევმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მისალმების გულთბილი სიტყვებისა და იმათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, ვინც ყამირის ათვისებაში მონაწილეობდა.

ყამირის ეპოპეაში, ხაზგასმით აღინშნა მომხსენებელმა, ნათლად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის სიბრძნე, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, რაც ჩვენი საზოგადოების სიმტკიცის საფუძველი, კომუნისტურ მშენებლობაში მისი წარმატებების საწინდარია. ყამირი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების მძლავრი ამჩქარებელი გახდა.

დიდი ოქტომბრის გამარჯვების პირველსავე დღეებში ვ. ი. ლენინმა პატერის მუშებს ურჩია პირადი მაგალითით დახმარებოდნენ გლეხებს ცხოვრების ახლებურად მშენებლობაში. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი პეტროგრადელთა ინიციატივას იმის შესახებ, რომ შექმნილიყო პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნები ყაზახეთის დაუსახლებელ მიწებზე. ვ. ი. ლენინის დავალებთ ჩრდილოეთ ყაზახეთის ათვისებისათვის სპეციალურად შედგებოდა პატარა ავალოვსკ-კოკჩეტავის რკინიგზა, რომელსაც „დამკვრელური სასურსათო“ უწოდეს. ბოლშევიკი ლენინელები საფუძველს უყრიდნენ სოციალიზმს, რომელზეც აღმოცენდა დღევანდელი ყამირი და, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, მთელ მსოფლიოს უჩვენა „საბჭოთა ადამიანების უკეთილშობილესი ზნეობრივი თვისებები“. ამაშია ღრმა ისტორიული ურთიერთკავშირი, თაობათა რევოლუციური მემკვიდრეობითობა, ჩვენი უმძლავრესი სახელმწიფოს — ნამდვილი დემოკრატიის, სოციალური პროგრესის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დიადი საქმის ბურჯის — თითოეული დღის სახელოვან მიღწევებში რომ გაცოცხლებული.

საყოველთაო მეცადინეობა მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე დასახულმა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უმაგალითო მასშტაბის ამოცანებმა, თქვა შემდეგ ორატორმა. ყაზახეთის წარმომადგენლებს მთელი ქვეყანა დაეხმარა. ყაზახეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ ამ უმაგალითო გმირულ ლაშქრობას ყველაზე გადამწყვეტ წლებში სათავეში ედგა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მან მაშინვე დაიმსახურა რესპუბლიკის კომუნისტთა უდიდესი პატივისცემა და მადლობა იმით, რომ შეძლო შეეკავშირებინა ათასობით ადამიანი ერთსულოვან კოლექტივად, რომელსაც ამოძრავებდა ერთი დიდი მიზანი, რისთვისაც ლენინე ილიას ძესთან ერთად და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე თითოეული ადამიანი ძალღონეს და ენერგიას არ იშურებდა.

ყამირის ეპოპეამ საბჭოთა ხალხს მისცა არამარტო პური, არამედ შექმნა პრინციპულად ახალი ტიპის მეურნეობრიობა. ახლა ათვისებული ყამირის სივრცეებზე ორი ათასზე მეტი მაღალმექანიზებული საბჭოთა მეურნეობა, ასობით კოლმეურნეობაა.

ყამირის ეპოპეა საბჭოთა ადამიანების არაერთი თაობის პატრიოტული, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ნამდვილი სკოლა გახდა. იგი იქცა სამშობლოს გულდაჯერებული სამსახურის სიმბოლოდ. ყამირზე, როგორც ამბანაგი ლ. ი. ბრეჟნევი წერს, მილიონობით საბჭოთა ადამიანი კვლავ იძენდა რევოლუციის გამოცდილებას, ახალ ისტორიულ პირობებში ამრავლებდა მის მონაპოვრებს, იძენდა განვითარებული სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ცოცხალ გამოცდილებას.

მკაფიოდ და შთაგონებით, მისთვის დამახასიათებელი პარტიული მგზნებარებითა და გულითადობით აღწერა ლეონიდ ილიას ძემ ეს დაუვიწყარი დღეები წიგნში „ყამირი“, რომელიც ყამირელებისათვის სამაგიდო წიგნი გახდა. აღწერილი ფაქტები და მოვლენები ყამირის ეპოპეის ბევრი მონაწილის ბიოგრაფიის ნაწილია. იგი წარსული ამბების მარტო მოგონება კი არა, ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ახალ სახელოვან მიღწევათა მოსაპოვებლად შემოქმედებითი შთაგონების ძვირფასი წყაროცაა.

ყამირი ათვისებისთანავე ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ბრძნული გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საგანძური გახდა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა.

მთელი ხალხის გულითად მადლობას იმსახურებს მუშათა კლასი იმისათვის, რაც ყამირის გმირული ათვისებისათვის გააკეთა.

ყამირის ათვისება ახალგაზრდობის შრომითი შემოქმედების, ხალხის განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ ამ უმაგალითო გმირულ ლაშქრობას ყველაზე გადამწყვეტ წლებში სათავეში ედგა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მან მაშინვე დაიმსახურა რესპუბლიკის კომუნისტთა უდიდესი პატივისცემა და მადლობა იმით, რომ შეძლო შეეკავშირებინა ათასობით ადამიანი ერთსულოვან კოლექტივად, რომელსაც ამოძრავებდა ერთი დიდი მიზანი, რისთვისაც ლენინე ილიას ძესთან ერთად და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე თითოეული ადამიანი ძალღონეს და ენერგიას არ იშურებდა.

ყამირის ეპოპეამ საბჭოთა ხალხს მისცა არამარტო პური, არამედ შექმნა პრინციპულად ახალი ტიპის მეურნეობრიობა. ახლა ათვისებული ყამირის სივრცეებზე ორი ათასზე მეტი მაღალმექანიზებული საბჭოთა მეურნეობა, ასობით კოლმეურნეობაა.

ყამირის ეპოპეა საბჭოთა ადამიანების არაერთი თაობის პატრიოტული, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ნამდვილი სკოლა გახდა. იგი იქცა სამშობლოს გულდაჯერებული სამსახურის სიმბოლოდ. ყამირზე, როგორც ამბანაგი ლ. ი. ბრეჟნევი წერს, მილიონობით საბჭოთა ადამიანი კვლავ იძენდა რევოლუციის გამოცდილებას, ახალ ისტორიულ პირობებში ამრავლებდა მის მონაპოვრებს, იძენდა განვითარებული სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ცოცხალ გამოცდილებას.

ყამირის ეპოპეაში, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ნათლად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის სიბრძნე, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, რაც ჩვენი საზოგადოების სიმტკიცის საფუძველი, კომუნისტურ მშენებლობაში მისი წარმატებების საწინდარია. ყამირი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების მძლავრი ამჩქარებელი გახდა.

ყამირის ეპოპეამ ასევე ნათლად გამოავლინა ლენინური კომკავშირი პირველი ფამიტხმაური პარტიის მოწოდებას. ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად ჩამოსულმა 600 ათასმა ახალგაზრდა პატრიოტმა გამოავლინა მთალი ფდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონალური თვისებები.

ყველზოფელ მადლობას იმსახურებენ საბჭოთა ქალები. ყველასთან ერთად ისინიც ძღვდნენ საყოფაცხოვრებო სიძნელეებს, ახალ მიწებზე ამკვიდრებდნენ ცხოვრებას.

ყამირი მიწების ათვისებამ მიწათმოქმედების მთელი სისტემის სრულყოფა მოითხოვა და მეცნიერებმაც წარმატებით გაართვეს თავი ამ რთულ ამოცანას. მთელ ქვეყანაშია ცნობილი შორტანდის სრულიად საკავშირო მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის ნაყოფიერი შედეგები მას ა. ი. ბარაევი ხელმძღვანელობს, რომელზეც გულთბილად ილაპარაკა ლეონიდ ილიას ძემ თავის წიგნში „ყამირი“. მნიშვნელოვანია გეოლოგთა და პიდროგეოლოგთა, ქიმიკოსთა და ენერგეტიკოსთა, ბიოლოგთა და ნიადაგმცოდნეთა წვლილი.

ყამირის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის ავანგარდში კომუნიკტები იყვნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი იჩენდნენ მუდმივ-ზრუნვას ყაზახეთის პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებისათვის. ამ წლების მანძილზე ეროფლის მეურნეობაში დასაქმებულ კომუნისტთა რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა და ახლა 182 ათასს შეადგენს. ოთხჯერ გაიზარდა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია.

განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს იმათ, ვინც ახორციელებდა მთელ ყამირის პროგრამას, ვინც ზრდიდა ათვისებული მიწების ეკონომიკურ ძლიერებას, ვინც პრაქტიკულად მუშაობდა და მუშაობს ამ მიწებზე.

თაობათა გმირობამ შესანიშნავი შედეგები მოიტანა. შეიქმნა გიგანტური აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი. ყაზახეთი გადაიქცა მარცვლეულის უდიდეს ბაზად, თუ მეშვიდე ხუთწლედში რესპუბლიკა წლის მანძილზე საშუალოდ 14,5 მილიონ ტონა პურს აწარმოებდა, მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან წელიწადში 25 მილიონ ტონაზე მეტს აწარმოებს. შარშან ეს მაჩვენებელი უდრიდა თითქმის 28 მილიონ ტონას, ხუთჯერ მეტს, ვიდრე 1953 წელს. სულ მეოთხედი საუკუნის მანძილზე წარმოებულია 466 მილიონი ტონა და სამშობლოს ბეღლებში დაბინავებულია 2569 მილიონი ტონა პური.

ახალი მიწების ათვისებამ დაჩქარა რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობა ერთიორად გაიზარდა, ღორისა — 5,7-ჯერ, ხორცისა და რძის შესყიდვა — 4-ჯერ, მატყლისა — 3,5-ჯერ. ახლა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროცესი.

ყამირის ათვისებამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 1953 წელთან შედარებით ცხრაჯერ და მეტად გაიზარდა. ახლა ყაზახეთი ხუთჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას იძლევა, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვხარობდეთ წარმატებებით, თქვა მომხსენებელმა, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს, ბევრ მეურნეობაში და თვით მთელ რაიონებში მოსავალი ჯერჯერობით მცირეა, უნდა ავიყვანოთ ყველა ჩამორჩენილი მეურნეობა მოწინავეთა დონეზე. მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოსავლის ზრდის დიდი რეზერვია სარწყავი მიწები.

პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და კოლმეურნეობებმა, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, უნდა მიაღწიონ, რომ თითოეული მეურნეობა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებდეს დასახული მოცულობით მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებს. შეუნელებელ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს მეცხოველეობა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შეესრულოთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითება ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შესახებ.

მომხსენებელმა ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა თითოეულ მეურნეობაში, რაიონსა და ოლქში მომჩარჩენობისა და ყაირათიანობისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისათვის, რათა თითოეული საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა მაღალ რენტაბელურ მეურნეობად გადაქცეთ. დიდი ყურადღება დაეთმო საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის გულდასმითი მზადების საკითხებს, მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და ფართო დანერგვას.

ჩვენ ვხედავთ, თქვა მომხსენებელმა, რომ ყამირი ცოცხლობს და ნაყოფიერად მოქმედებს, თუმცა მისი რეზერვები ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ამოწურული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების გათვალისწინებით, მოვალენი ვართ მუდამ ვზრუნავდეთ ყამირის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივებისათვის, რომელმაც წლითიწლობით უნდა მოგვცეს მყარი მოსავალი, გაზრდოს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება.

დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, თქვა მომხსენებელმა, საჭიროა ხელშემწყობი სამართლიანი პირობები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა განუხრელად ხორციელდება სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ შემუშავებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაბამისად. მშვიდობისათვის სამართლიან ბრძოლაში, საბჭოთა კავშირი მარტო ჯარ ჯარის, მასთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები.

ყამირის ვეტერანთა, ყამირელთა და ყაზახეთის ყველა მშრომელის სახელით დ. ა. კუნაევმა ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს აღუთქვა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ჯარ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას, რათა პირნათლად შეასრულონ თავიანთი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტურ მშენებლობაში, სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

საზეიმო სხდომის ტრიბუნაზე გამოვიდნენ პირველი მეყოფირეები, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები: პარტიის კუსტანაის, ცელინოგრადის, კოქჩეტავისა და ჯამბულის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები — ა. მ. ბოროდინი, ნ. ე. მოროზოვი, ო. ს. კუანიშევი, ხ. შ. ბეკეტურგანოვი, ყიზლ-ორდის ოლქის ყაზახეთის სსრ 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ბ. ბისენოვი. მათ ილაპარაკეს ყამირზე მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მომხდარ უდიდეს გარდაქმნებზე, ყამირელთა დღევანდელი საზრუნავისა და შემდგომი ზრდის პერსპექტივებზე.

●●

15 მარტს ალმა-ათაში მუშაობა დაამთავრა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების 25 წლისთავისადმი მიძღვნილმა საზეიმო სხდომამ.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მონაწილეებისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ განსაკუთრებული ლაზათი და ზეიმურობა შეატა საიუბილეო დღესასწაულობას. საზეიმო სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ ყამირი და ნასვენი მიწების წარმატებული ათვისება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული, შორსმჭვრეტელური აგრარული პოლიტიკის შედეგია. ყამირის ეპოპეა გრძელდება. თუ მის პირველ წლებში ყაზახეთის ყამირ მიწებს ძირითადად ჩრდილოეთში ითესავდნენ, ახლა სამხრეთ ოლქებშიც დაიწყო ინტენსიური შეტევა ახალ მასივებზე. აქ ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები.

ყამირის ათვისების იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები, მიტინგები და კრებები გაიმართა ყაზახეთის ყველა ნაყამირალ ოლქში, აგრეთვე ბარნაულში, კრასნოიარსკში, ირკუტსკში, კემეროვოში, ნოვოსიბირსკში, ომსკში, სვერდლოვსკში. კრებების მონაწილენი თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ ყამირის რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა შეიმუშავა, ყამირის რაიონებს დიდი როლი ეთმობა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის საქმეში.

* * *

საზეიმო სხდომების მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილები, რომლებშიც აღუთქვამენ, რომ კიდევ უფრო აქტიურად და შეუპოვრად იბრძოლებენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და ახალ დიდ წარმატებებს მოიპოვებენ ლენინური აგრარული პოლიტიკის შესრულებაში. (საკდესი).

სურათებზე: მარცხნიდან — გაერთიანების დირექტორი ვ. დ. ჯანგურაზოვი (მარჯვნივ) თესვის დაწყების წინ ესაუბრება აღსაკალებსა და პირველ ყამირელებს (1978 წლის მაისი); საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის მე-7 კლასში ფრანგული ენის გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი ბ. ფ. კურიენკო.

ბ. კოპეიკინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

„პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტულ კომპლექსს

1979 წლის 14 მარტს 10 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით „პროგრეს-5“ ავტომატური სატვირთო სატრანსპორტო ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსს.

სატვირთო ხომალდმა ორბიტაზე მიიტანა სათბობი „სალუტ-6“ სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარისათვის, მოწყობილობა, აპარატურა, მასალები ეკიპაჟის სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის, სამეცნიერო-კვლევისა და ექსპერიმენტების მოწყობისათვის, ფოსტა, აგრეთვე აგრეგატების ელემენტები და ცალკეული ბლოკები, რომლებიც გათვალისწინებულია პროფილაქტიკური და სარემონტო აღდგენითი ღონისძიებებისათვის.

მართვის ცენტრის კომანდებით ორბიტაზე შესრულებული მანევრების შემდეგ „პროგრეს-5“ ხომალდი შევიდა ხომალდისა და „სალუტ-6“ სადგურის დაახლოების საბორტო ავტომატური სისტემის მოქმედების ზონაში, რომლებმაც უზრუნველყვეს კოსმოსური აპარატების ძიება, მიახლოება, მიდგომა და შეპირაპირება.

მიდგომისა და შეპირაპირების პროცესებს კონტროლს უწევდა ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი — ამხანაგები ლიახოვი და რიუმინი.

„პროგრეს-5“ ავტომატური სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-6“ სადგურის საავრეგატო ნაკვეთურზე მდებარე შესაპირაპირებელ კვანძს.

კოსმოსური აპარატების მიახლოებისა და შეპირაპირების ყველა ეტაპზე ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟთან კავშირი, „პროგრეს-5“ ხომალდიდან და „სალუტ-6“ სადგურიდან ტელემეტრიული ინფორმაციის მიღება საიმედოდ იყო უზრუნველყოფილი მიწიერი სადაზვერვო საზომი კომპლექსის საშუალებებით, რომელშიც შედის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე საზომი პუნქტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები „კოსმონავტი იური გაგარინი“, „კოსმონავტი ვლადისლავ ვოლკოვი“, „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი“, „მორეოვეცი“, „კეგოსტროვი“, „ჩაუმა“, რომლებიც მსოფლიო ოკეანის აკვატორიაში იმყოფებიან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებებით „სალუტ-6“ სადგურის, „სოიუზ-32“ ხომალდისა და „პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

მიფრინავს „კოსმოს-1080“

1979 წლის 15 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1080“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

გაუშვეს რვა თანამგზავრი

1979 წლის 15 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1081“, „კოსმოს-1082“, „კოსმოს-1083“, „კოსმოს-1084“, „კოსმოს-1085“, „კოსმოს-1086“, „კოსმოს-1087“, „კოსმოს-1088“. ორბიტაზე რვავე თანამგზავრმ ერთმა მატარებელმა რაკეტამ გაიყვანა.

თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ძმურ, გულითად ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 13 მარტს ჯუმლის დიდ სასახლეში სადილი გამართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის პატივსაცემად.

სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ნ. ა. ტიხონოვი, ი. ვ. კაბანოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ედვარდ გერეკ!

პატივცემულო ამხანაგებო! ესენი არიან მე და ამხანაგმა გერეკმა დავამთავრეთ საუბარი. ეს საუბარი უდავოდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ცხოვრების ლოგიკა ისეთია, რომ რაც უფრო შორს მივდიხართ თანამშრომლობის გზით, მით უფრო ფართო პოტენციალური ჰორიზონტები ისახება ჩვენ წინაშე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ახლა, როცა ჩვენი ქვეყნები ახალი ხუთწლედის ზღურბლზე დგანან. უდიდესი გამოწვევა ენიჭება კოოპერაციისათვის მუშაობას, განსაკუთრებით, მანქანათმშენებლობასა და ქიმიაში, გაერთიანებული მეცადინეობით დიდი საწარმოების შექმნას, მეცნიერული და ტექნიკური აზრის მიღწევათა გაზიარებას. ყოველივე ეს, უდავოდ, სასიკეთო გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე, მშრომელთა კეთილდღეობაზე.

თუმცა პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროს არა აქვს თავისი ხუთწლედები, მაგრამ ეს-აც იგივე კანონზომიერება ვლინდება: ჩვენი ურთიერთმოქმედება წლითიწლობით სულ უფრო ღრმა და შინაარსიანი ხდება. ეს სრულად გამეცეთვნება მშვიდობისა და უშიშროების, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის მიმდინარე ერთობლივ ბრძოლას.

ალბათ, საერთაშორისო პოლიტიკისათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომ სწორი დასკვნები გამოვიტანოთ ხოლმე მსოფლიოსათვის თავს დატეხილი განსაცდელიდან. ასეთ განსაცდელთაგან უკანასკნელ ხანს ყველაზე სერიოზულია ჩინეთის ჯარების შეჭრა სოციალისტურ ვიეტნამში. იგი მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ გარკვეულმა იმპერიალისტურმა წრეებმა ფაქტიურად შეაფულიანეს აგრესორი.

დასკვნა აშკარაა: მშვიდობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დამკვიდრებულა უწინარეს ყოვლისა აზიაში. უნდა ვიღაწოთ იმისათვის, რომ ყოველი ცალკეული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესია საზოგადოებრივობამ აღიქვას საყოველთაო საფრთხედ, რომ იგი კოლექტიურად უკუვაგდოთ ხოლმე, თორემ კაცობრიობას კატასტროფა არ ასცდება.

ახლა ჩინეთის ხელმძღვანელები იძულებული არიან უკანდახევის თადარიგი დაიჭირონ. ეს იმის შედეგია, რომ მტაცედ და მამაცურად იბრძვის ვიეტნამელი ხალხი, რომ ვიეტნამს საბრძოლო სოლიდარობას უწევენ საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები, მხარს უჭერს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კვლავ მწვავე და დაძაბული ვითარებაა.

ჩვენი კურსი ნათელია: კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ დავეხმაროთ ვიეტამის მართალ საქმეს და ხელი შევუშალოთ ახალ პროვოკაციებს, რომლებიც საყოველთაო მშვიდობას ემუქრება.

ძვირფასო ამხანაგებო!

წელს სოციალისტური პოლონეთი თავის 35-ე წლისთავს დღესასწაულობს. მივულოცოთ ჩვენს პოლონელ მეგობრებს ეს სახელოვანი თარიღი და ვუსურვოთ მათ ბედნიერება, კეთილდღეობა, აყვავება.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევ მეგობრობას!

ყოველ უფრო განმტკიცებულიყოს სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური ოჯახი!

დღეგრძელობას ვუსურვებთ პოლონელი კომუნისტების ხელმძღვანელებს, ჩვენს დიდ მეგობარს ამხანაგ ედვარდ გერეკს!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. გერეკმა.

ამხანაგ ე. გერეკის სიტყვა

პატივცემულო და ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გულწრფელი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ დღეს შეგხვედით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, პოლონეთის სხვა მეგობრებს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ პარტიულ და პოლიტიკურ მოღვაწეებს. ჩვენი პარტია და ხალხი მოწიწების და მეგობრული გრძნობით ეკიდებიან მომმე საბჭოთა ხალხს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევს ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. სულითა და გულით გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესანიშნავ შედეგებს, რომელმაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ ცხადყო საბჭოთა ხალხის შეკავშირება თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩვენი ხალხების მეგობრობა, რომელიც პოლონელ და რუს რევოლუციონერთა ერთობლივ კლასობრივ ბრძოლებში იშვა, სა-

(დასასრული მე-2 გვ.)

სამშობლოში გაემგზავრა

14 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში მეგობრულ ვიზიტად მყოფი პ

ძმურ, გულითად ვითარებაში

(დასასრული)

მუდამოდ შეადუღლება ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე დაღვრილმა სისხლმა. ახლა ეს მეგობრობა პოლონეთის უშიშროებისა და განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო მისი განმტკიცება— ჩვენი პოლიტიკის ძირითადი ხაზი.

ჩვენ დიდად ვაფასებთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას და აღვნიშნავთ, რომ იგი მიმდინარე ათწლეულში განსაკუთრებით დინამიკურად ვითარდება. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ამ ერთიანობას, ჩვენი პარტიებისა და ხალხების ძმურ ურთიერთობას, გავაფართოებთ ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

ჩვენ კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, რათა დღითი დღე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობა, მისი შეკავშირება და მოქმედების ერთიანობა შშვიდობის იდეების საკეთილდღეოდ და ყველა ხალხის თანამშრომლობის საბედნიეროდ.

ჩვენ, პოლონელები, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანები, მტკიცედ ვუჭერთ მხარს პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელებას, გადაჭრით ვილაშქრებთ ცივი ომის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ უფრო ამალებენ ისედაც გამალებულ შეიარაღებას და აღვივებენ დაძაბულობის ცეცხლს მსოფლიოში.

დეკლარაციაში, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოსკოვის თათბირზე მივიღეთ, ჩვენ ყველა ქვეყანას შევთავაზეთ შშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, ნამდვილი განიარაღებისათვის, დაძაბულობის და კონფლიქტების კერების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ჩვენი საერთო კონკრეტული და რეალური პროგრამა. წინადადებები, თქვენ რომ წამოაყენეთ, ამხანაგო ბრეჟნევ, წინასაარჩევნო სიტყვაში, არსებითად ამდიდრებს და აფართოებს ამ პროგრამას. ჩვენს ქვეყანაში მათ ცხოველი გამოხმაურება პოვეს და ჩვენც მთლიანად ვუჭერთ მხარს ამ წინადადებებს.

ჩვენ, მთელი პოლონელი ხალხი, შეფუფუთებული და აღშფოთებული ვართ ჩინეთის ხელმძღვანელობის ავანტიურისტული, ჰეგემონისტური პოლიტიკის, იმ ცინიკური აგრესიის გამო, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ რომ გაიაღა. ჩვენ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას და მხარს ვუჭერთ მის სამართლიან შეიარაღებულ ბრძოლას. ვიეტნამი, ისევე როგორც წინათ, მარტო არ არის. მას მხარში უდგანან საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა.

პატივცემულო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, იმ გულითადი აღმოსაფრთოვანებისთვის, რომელშიც ჩვენი საუბრები მიმდინარეობდა. ჩვენ ერთ აზრს ვადგავართ ყველა საკითხში, ჩვენ ერთნაირად ვაფასებთ ვითარებას და ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს. და გადაწყვეტილებანი, ჩვენ რომ მივიღეთ, მოემსახურება ჩვენი ხალხების ინტერესებს, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეს.

ნება მიბოძეთ, წარმოვთქვა სადღეგრძელო:

„გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას და ყოველმხრივ, ძმურ თანამშრომლობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!

დღეგრძელობას და წარმატებას ვუსურვებ ყველა აქ დამსწრე საბჭოთა მეგობარს!

✦

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გიერეკის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საღამოსა ძმობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ე. გიერეკი ეწვია ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტს. სტუმართან ერთად იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კირილინი. ახსნა-განმარტებას იძლეოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ინსტიტუტის დირექტორი ა. პ. ალექსანდროვი.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ახალ მოთხოვნათა დონეზე

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაწეული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1978 წლის შედეგები. აღინიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოები წინანდელზე გაცილებით უფრო უკეთ წყვეტენ სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანებს. ამაღლდა საბჭოების სესიებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადების და ჩატარების დონე. მეტი ყურადღება ეთმობა ამომრჩევლთა განაწესების შესრულებას, საბჭოების საქმიანობის საჯაროობას, დემოკრატიული პრინციპების განვითარებას; გააქტიურდა დეპუტატებისა და საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა არ შეესაბამება დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა განიხილონ გასული წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგები და მიიღონ ზომები, რათა დაუყოვნებლივ აღიკვეთოს არსებული ნაკლოვანებანი. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების დებულებებისა და ადგილობრივი საბჭოების შესახებ მიღებული კანონების მოთხოვნების შესაბამისად, ხაზგასმულია მიღებულ დადგენილებაში, უნდა გაძლიერდეს საბჭოების პასუხისმგებლობა ქალაქებისა და რაიონების კომპლექსური სოციალური და ეკონომიკური განვითარების საქმეში, ამასთან უფრო სრულად უნდა გამოიყენებოდეს ეკონომიკური პოტენციალი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, მის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მოსახლეობის ყოველგვარი მომსახურების დონის ასამაღლებლად.

დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან ერთად, ნათქვამია დადგენილებაში, მეტი უნდა ვიზრუნოთ სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში ყველა დეპუტატის აქტიური ჩაბმისათვის. დასახულია საბჭოების მთელი ორგანიზატორულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფის ამოცანები. უნდა უზრუნველვყოთ მასების მობილიზაცია, რათა წარმატებით შეასრულონ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმები.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის დადგენილება „რესპუბლიკაში ტყეთგაშენების, ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის გეგმა-ვალდებულების განხორციელების შესახებ“.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა საქართველოს სსრ ტყის კოდექსის შესაბამისად კონტროლი გაუწიონ ტყეების მოვლის სამუშაოებს და ტყის კანონმდებლობის დარღვევის ყოველი შემთხვევა მკაცრი განხილვის საგნად აქციონ.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე შემოსული განცხადებებისა და წინადადებების განხილვის შედეგების თაობაზე, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებზე. (საქინფორმი).

შეხიბრების გამარჯვებული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ შეაჯამეს 1978 წლის სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

1978 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის პირველი ადგილები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ სახალხო დეპუტატთა არახლოს (ბოლნისის რაიონი), ჩალაუბნის (გურჯაანის რაიონი), გურიანთის (მახარაძის რაიონი), ქაფანახჩის (მარნეულის რაიონი) და პირველი მაისის (ბაშის რაიონი) სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

მესამე ადგილები მიენიჭათ მესტიის სადაბო, წებელდის (გულრიფშის რაიონი), კახათის (ზუგდიდის რაიონი), მიქავას (წალენჯიხის რაიონი) და ალისუბნის (თერჯოლის რაიონი) სახალხო-დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შორის გამარჯვებულად ცნეს ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ადგილი მიენიჭა ბოლნისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მესამე — ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

აღინიშნა კაჭრეთის (გურჯაანის რაიონი), ლეღვას (ქობულეთის რაიონი), ავრალოს (წალკის რაიონი), ოსიაურის (ხაშურის რაიონი), ჭოღის (ჩხოროწყუს რაიონი) სახალხო-დეპუტატთა სასოფლო, კასპის საქალაქო საბჭოს აღმასკომების კარგი მუშაობა.

ამასთან აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, ქარელის, ყაზბეგის, სიღნაღის, ცაგერის რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობაში, რომლებმაც სათანადო დონეზე ვერ მოაწყვეს სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება და მისი შედეგების დროული შეჯამება. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იუბილიანი განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. გიორგი რაფიელის ძე **ბოთორაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორ-კონტროლიორი ამხ. გრიგოლ დავითის ძე **ფარულავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

მაშველი ოპერაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, წყალწაღებულთა გადარჩენის დროს გამოჩენილი გულადობის, მამაცობისა და თავდადებისათვის ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსი გიორგი სიმონის ძე **ვატაევი** დაჯილდოვდა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“. (საქინფორმი).

საერთაშორისო ინფორმაციული ცხოვრება

მსოფლიო გამოგბს

კაირო. აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია გადაჭრით მოითხოვს პეკინის ხელმძღვანელობისაგან, რომ დაუყოვნებლივ, მთლიანად და უპირობოდ გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამიდან. ორგანიზაცია კვლავ ადასტურებს, რომ მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩინეთის მმართველთა ავანტიურისტულ და დანაშაულებრივ მოქმედებას საფუძვლად უდევს მათი რეაქციული ჰეგემონისტური პოლიტიკა. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს განცხადებაში. იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ბარბაროსული აგრესია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ადანი. იორდანიელი ხალხი მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებთან ერთად გულისწყრომით გმობს ჩინეთის აგრესიას სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ. ჩინეთის ხელმძღვანელობის მოქმედება, წერს ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა პოპულარი“, გვიჩვენებს გამყიდველთა და ანტიკომუნისტთა ამ ბროვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მათი რასისტული და ექსპანსიონისტური თეორიები აშკარად ჩამოჰგავს ჰიტლერელ ფაშისტთა იდეებს. როცა სოციალიზმს უღალატეს და იმპერიალიზმს მიეკედლნენ, ისინი აგრესიული ბლოკისა და პენტაგონის მსახურნი გახდნენ.

დელი. ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე ჩინეთის თავდასხმა გულისწყრომით დაგმო ინდოეთის პარალელურმა კომპარტიამაც — მარქსისტულმა კომუნისტურმა პარტიამ. მარქსისტული კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში ხაზგასმულია: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არც ერთ ბოლოდროინდელ აქტს არ მოუქცევია იგი ასეთი იზოლაციაში მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური, სოციალისტური და პროგრესული ძალებისაგან“. ინდოეთის მარქსისტული კომპარტიის პოლიტბიურო, ნათქვამია განცხადებაში, მოგიწოდებთ გამართოთ მიტინგები და კრებები, რათა ცხადყოთ ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობა და მოითხოვოთ ჩინეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ვიეტნამის ტერიტორიიდან. ჩინეთმა ყოველგვარი პირობების წამოყენებლად უნდა გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები. პროგრესული კაცობრიობა მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამს, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში. (საკდესი).

ლონდონი. „ინდოეთი ლიდერები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიამ მათ სამარცხვინო მარცხი მოუტანა“, წერს სან-ფრანცისკოს გაზეთი „პიპლზ უორლდი“. როცა საკადრისი პასუხი მიიღო, წერს შემდეგ გაზეთი, პეკინის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა განცხადება ჯარების გაყვანის შესახებ, მაგრამ ეს განცხადებანი ვერ მიჰქმალავენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთი კვლავ უყარის თავს ახალ-ახალ დივიზიებს ვიეტნამისა და ლაოსის საზღვარზე.

ჰარაკასი. ვენესუელის პროგრესული საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს ჩინეთის დანაშაულებრივ აგრესიას სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ. ჩინეთის ხელმძღვანელობის მოქმედება, წერს ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა პოპულარი“, გვიჩვენებს გამყიდველთა და ანტიკომუნისტთა ამ ბროვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მათი რასისტული და ექსპანსიონისტური თეორიები აშკარად ჩამოჰგავს ჰიტლერელ ფაშისტთა იდეებს. როცა სოციალიზმს უღალატეს და იმპერიალიზმს მიეკედლნენ, ისინი აგრესიული ბლოკისა და პენტაგონის მსახურნი გახდნენ.

დელი. ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე ჩინეთის თავდასხმა გულისწყრომით დაგმო ინდოეთის პარალელურმა კომპარტიამაც — მარქსისტულმა კომუნისტურმა პარტიამ. მარქსისტული კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში ხაზგასმულია: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არც ერთ ბოლოდროინდელ აქტს არ მოუქცევია იგი ასეთ იზოლაციაში მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური, სოციალისტური და პროგრესული ძალებისაგან“. ინდოეთის მარქსისტული კომპარტიის პოლიტბიურო, ნათქვამია განცხადებაში, მოგიწოდებთ გამართოთ მიტინგები და კრებები, რათა ცხადყოთ ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობა და მოითხოვოთ ჩინეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ვიეტნამის ტერიტორიიდან. ჩინეთმა ყოველგვარი პირობების წამოყენებლად უნდა გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები. პროგრესული კაცობრიობა მტკიცედ უჭერს მხარს ვიეტნამს, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში. (საკდესი).

შეხვედრები ინდოეთის მიწაზე

ბანგალორი. (საკდესი). გრძელდება ქვეყანაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოგზაურობა.

კარნატაკის შტატის გუბერნატორმა გ. ნარაიანმა სადილი გამართა საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად. მისალმების დროს მან ხაზი გაუსვა, რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობა დღითი დღე ღრმავდება და მტკიცდება. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში უდიდესი ნიშანსვეტები უწოდა გუბერნატორმა 1971 წელს ორ ქვეყანას შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას და 1973 წელს ინდოეთში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტს.

ა. ნ კოსიგინი გაეცნო ქალაქ ბანგალორის სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს. იგი ეწვია „ჰინდუსტან მეშინ ტულზის“ ფირმის ჩარხსაშენებელ ქარხანას, იყო ინდოეთის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციის სამეცნიერო ცენტრში.

ა. ნ. კოსიგინი გულთბილად შეხვდა ბანგალორში მცხოვრებ მხატვარს ს. ნ. რერიხს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირნი დელში დაბრუნდნენ.

დელი. (საკდესი). აქ დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მ. დესაის შორის.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, დაძაბულობის საშიში კერების ლიკვიდაციის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მდგომარეობას, რომელიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესიის შედეგად შეიქმნა. გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ ამ რაიონის მშვიდობისა და უშიშროების აღსადგენად ჩინეთმა დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების წამოუყენებლად უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ისტორიულად დამკვიდრებული ჩინეთ-ვიეტნამის საზღვრის ფარგლებს გარეთ და შეწყვიტოს აგრესიული მოქმედება მომიჯნავე ქვეყნების წინააღმდეგ.

მხარეებმა შეთანხმეს ერთობლივი კომუნიკე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

დელი. (საკდესი). 14 მარტს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მ. დესაის შეხვედრა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მ. დესაიმ ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის ეკონომიკური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიან პროგრამას, რომელიც 10-15 წლისათვის არის გათვალისწინებული, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმებას მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ამავე დროს სსრ კავშირისა და ინდოეთის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს მთელ რიგ სხვა დოკუმენტებს.

დღეს ინდოეთის ტელევიზიით გადაიცა ა. ნ. კოსიგინის გამოსვლა.

მეგობრული ვიზიტი დამთავრდა

დელი, 15 მარტი. (საკდესი). დღეს ინდოეთში დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი. სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო დროშებით მორთულ პალამის აეროპორტში საბჭოთა მთავრობის მეთაური გააცილეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მ. დესაიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად გაემგზავრნენ მისი თანმხლები პირნი.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა. (საკდესი).

ქრიზისის მსხვერპლნი

პარიზი. „იუზინორის“ მეტალურგიული ტრესტის დირექციამ დაადასტურა, რომ აპირებს 1979 წლის დამლევამდე დახუროს ფოლადსამსხმელო კომბინატი დენენში. ამ თვითნებური გადაწყვეტილების გამო შთამომავლობითი მეფოლადეების ქალაქში უმუშევარი დარჩება 5.000 კაცი

მეტალურგიული კონცერნების ანტიეროვნული და ანტისოციალური პოლიტიკა, განაცხადა დენენის მერმა, კომუნისტმა ა. ფიეკვეზმა, „უპრეცედენტო დანაშაულია“.

ვაშინგტონი. კაპიტალისტური სახელმწიფოები მიმდინარე და მომავალ წელს ახალ ეკონომიკურ სიძნელეებს წააწყდებიან. ასეთი არასანუგეშო პროგნოზი გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატამ.

პროგნოზში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 1979-1980 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური განვითარების ტემპი მთელ კაპიტალისტურ სამყაროში.

ტოკიო. იაპონიის უდიდესი ფოლადსამსხმელო კონცერნის „კობე სეიკოსიოს“ ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ სამუშაოდან დაითხოვა დაახლოებით 400 მუშა-მოსამსახურე.

კაპიტალის ჯუნგლში

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“!

დასავლეთ ბერლინის ახალგაზრდობაში სულ უფრო იზრდება ნარკომანია. თუ 1971-1975 წლებში ქალაქში 88 სიკვდილის შემთხვევა იყო რეგისტრირებული, მარტო 1976 წელს 54 ასეთი შემთხვევა აღირიცხა, ხოლო 1977 წელს — 88.

1978 წელს მსხვერპლთა რიცხვი რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ექსპერტთა მონაცემებით, ნარკომანების საერთო რაოდენობა არ შემცირებულა. სულ უფრო ხშირად ახლა მათ შორის აღმოჩნდებიან ხოლმე მოსწავლეები.

„დღეს ნარკომანები ხდებიან ისინი, რომლებმაც ოჯახში, სკოლაში ჩამოყალიბებულ ნეგატიურ გარემოებათა შედეგად ვერ შეძლეს ხალისიანი ცხოვრების გზის პოვნა. უპირველეს ყოვლისა, იჩაგრებიან ახალგაზრდები, ვინც ვერ მიიღო სრული საშუალო განათლება, არ გაიჩინა სპეციალობა“, — ამტკიცებს დასავლეთ ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი კლაუს ეფერტი. სასწავლო ადგილთა მნიშვნელოვანი ნაკლებობა და უმუშევრობა მიაჩნიათ დასავლეთ-ბერლინელ სოციოლოგებს, მასწავლებლებსა და ექიმებს ახალგაზრდათა აპათიისა და სასოწარკვეთის მთავარ მიზეზად.

სტატისტიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ქალაქში ნარკომანთა ასაკობრივი მაჩვენებელი გამუდმებით მცირდება. ცნობილია შემთხვევები, როდესაც გოგონები ნარკოტიკების ხმარებას 12 წლიდან იწყებენ, ჰაბუკები კი — 14-დან. მათი „ისტორიები“ თითქმის ერთნაირია, ისევე როგორც ერთნაირია ნარკომანიის სოციალური მიზეზებიც. ხშირად ისინი ლსდ-თი იწყებენ, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ხანმოკლე დროით დაივიწყონ შინ და უსუსურობა. მსგავსი „ზმანებების“ შედეგად მატულობს იმედგაცრუება მკაცრი სინამდვილის გამო. მისგან თავის დაღწევის მისწრაფება აიძულებს მსხვერპლს ეძიოს უფრო ძლიერი საშუალებები, და აი, ჯერი ჰაშიშზე მიდგა. ნარკოტიკებზე დამოკიდებულება იზრდება, და მსხვერპლის საზოგადოებისათვის დაბრუნება ძნელდება, ხოლო შემდეგ ფაზაში — ჰეროინუმის ხმარებისას თითქმის შეუძლებელი ხდება.

თვრამეტი წლის დიტერ რ. ამბობს:

„სამი წლის წინათ იძულებული გავხდი მეცხრე კლასიდან სასწავლებელი მიმეტოვებინა. საწარმოში შეგირდის ადგილი ვერ ვიშოვე. ოჯახში ბავშვებს შორის მე ყველაზე უფროსი ვარ. ჩემ გარდა კიდევ ოთხი ბავშვია. მამაჩემი — ზეინკალია, დედა ნახევარ დღეს სხვისი ბინების დალაგებას უნდება. მე ლსდ-ს აბებითა და ჰაშიშის წევით დავიწყე. თანდათანობით ჰეროინუმის ინექციამდე მივედი. და აი, აღარც მეგობრები მყავს და აღარც ოჯახი მაქვს. დილით ვდგები, ნემსს ვიკეთებ და ფულის საშოვნელად მივდივარ. დღეში 150-200 მარკა მჭირდება. მაგრამ აბა, სად ვიშოვო?

ნელ-ნელა მშობლების, მეგობრების გაქურდვა დავიწყე და უკვე სინდისიც კი არ მაწუხებს, რადგან ყველაფრისადმი გულგრილი გავხდი.“

დასავლეთ ბერლინში ჰეროინუმის ვაჭრობის სადღეღამისო ბრუნვა შეადგენს 1,5 მილიონ მარკას, წლიური კი 500-600 მილიონ მარკას. თანაც, შარშან მთელ დასავლეთ ევროპაში არსად ისე იაფი არ ყოფილა ეს შხამი, როგორც აქ, გასაგებია ვოლფანგ ჰეკმანის სასოწარკვეთა, რომელიც დასავლეთ ბერლინის სენატმა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო პროგრამის განხორციელებისათვის პასუხისმგებელ პირად დანიშნა. „ქალაქში ნარკომანთა რიცხვის რაიმე შესამჩნევ შემცირებაზე ლაპარაკიც კი შეგიძლია, — თქვა მან. — ამოცანა ის არის, რომ როგორღაც შევაკავოთ ნარკომანიის მკვეთრი ზრდა. „ჰეკმანის შეფასებით, დასავლეთ ბერლინში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი ამჟამად 20 ათასს აღწევს.

ნარკომანიის ზრდა იწვევს ქალაქში დამნაშავეობის ზრდასაც. მარტო 1977 წელს ამ საფუძველზე დანაშაულობათა რიცხვმა 72 პროცენტით იმატა. ქურდობა, ძარცვა, პროსტიტუცია, თაღლითობა განსაკუთრებით ხშირია. ამ გზით ცდილობენ ნარკომანები შხამის მორიგი ულუფის შესაძენი ფულის შოვნას.

როგორ ფიქრობენ „ქალაქის მამები“ ნარკოტიკულ „შავ ჭირთან“ ბრძოლას? ქალაქში არსებობს სპეციალური კლინიკები. მაგრამ ნარკომანთა 90 პროცენტი, რომელიც იქ მკურნალობის სრულ კურსს გადის, მაინც ვერ ანებებს საბოლოოდ თავს დამღუპველ ჩვეულებას. სახელმწიფო-სამკურნალო საერთო საცხოვრებლებში პაციენტთა მხოლოდ ნახევარი იკურნება. ამ დაწესებულებებში, თერაპიულ კურსგავლილი ყოფილი ნარკომანები ნაცადი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ხელმძღვანელობით ერთად შრომობენ და ცხოვრობენ. მაგრამ ეს დაწესებულებები დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამ მიზნებისათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული სახსრები კი მეტად შეზღუდულია. საზოგადოებრიობის ზეგავლენით დასავლეთ ბერლინის სენატმა 1977 წლის შუახანებში ნარკომანიასთან საბრძოლველად მიუჯიტიდან გამოყო 8,6 მილიონი მარკა — თანხა, რომელიც... დასავლეთ ბერლინში მარტო ხუთი დღის განმავლობაში ჰეროინუმით ვაჭრობის საბრუნავ თანხას უდრის. მხოლოდ 1,2 მილიონი გამოჰყვეს ყველაზე ეფექტიანი სამკურნალო საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის. ასიგნებათა უმთავრესი ნაწილი კი პოლიციამ მიიღო. გაიზარდა მასებში საგანმანათლებლო საქმიანობის ხარჯებიც...

დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის აზრით, ეს ღონისძიებები შექმნილ საგანგაშო სიტუაციაში ბევრს ვერაფერს შეცვლის. სენატში წარმოდგენილი ბურჟუაზიული პარტიებისაგან განსხვავებით იგი ფიქრობს, რომ ქალაქში ნარკომანიის მოსასპობად ბოლო უნდა მოეღოს მის გამომწვევ მიზეზებს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა, ახალგაზრდობას უნდა მიეცეს სპეციალობის შეძენის შესაძლებლობა, მოეწყოს მათი დასვენება და გართობა.

ჯერჯერობით კი „ნარკომანიასთან ბრძოლა“ სხვა არაფერია, თუ არა ზღვის კოვზით დაცლის ცდა.

პეტერ ბურაუ,
დასავლეთბერლინელი პუბლიცისტი.

(ახალი ამბების სააგენტო).

იმედდაკარგული ახალგაზრდობა

უმწვავესი სოციალური სენი

ბრძოლება ლოტარინგიის მშრომელთა ბრძოლა ამ რაიონის ძირითად დარგში — მეტალურგიულ მრეწველობაში ახალ დათხოვნათა წინააღმდეგ. ფოლადის ტრესტების გეგმებით, უახლოეს წლებში კიდევ 26 ათასი მეტალურგი დაკარგავს სამუშაოს.

მეწარმეთა ზრახვების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მუშები კეტავენ მისასვლელ გზებს, იკავებენ საწარმოთა ადმინისტრაციულ შენობებსა და საამქროებს, აწყობენ დემონსტრაციებსა და მიტინგებს.

სურათზე: ჩრდილოეთ საფრანგეთის გაფიცული მეტალურგები მოითხოვენ წარმოების შეკვეცის შეწყვეტას და ყველა დათხოვნილის სამუშაოთი უზრუნველყოფას.

საკდესის ფოტოკორესპონდენტი.

ჟუთაისი — ლენინაკანი — კიროვაბადი:

მეგობართა შეჯიბრების 30-ე წლისთავი

ჟუთაისი, 13 მარტი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს კომპარტიის ჟუთაისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ფართოდ აღნიშნოს მოძმე რესპუბლიკების სამი ქალაქის — ჟუთაისის, ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების პირველი ელშეკრულების დადების 30-ე წლისთავი.

30 წლის წინ

ყველა კომკავშირელის აქტიურობით

რაგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გასული წლის მიწურულს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ განიხილა საკითხი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღმზრდელობითის მუშაობაში არსებული ფორმალიზმის შემთხვევებისა და მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ეს დადგენილება მნიშვნელოვნად სცილდება საშუალო სკოლის ფარგლებს, რადგან ფორმალიზმი, მოგეხსენებათ, ერთჯერადი და ერთმნიშვნელოვანი მოვლენა არ არის. თვალის ახვევისა და მოჩვენებითობის, სიყალბისა და ზედაპირულობის, გულგრილობის და ზერელობის ვითარებაში, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით მთელ აღმზრდელობითს საქმიანობაში, იგი ყველგან და ყოველთვის პოულობს ნოყიერ ნიადაგს. ხოლო ფორმალიზმი სასკოლო ცხოვრებაში ფაქტიურად ფორმალიზმია შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე.

სწორედ ამიტომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარეობდა რესპუბლიკური კომკავშირული კრება „ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი!“, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა.

განსახილველი საკითხის აქტუალობამ, კრებისათვის სერიოზულმა სამზადისმა, რომელიც კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გასწიეს და, უწინარეს ყოვლისა, ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სპეციალურად მიღებულმა დადგენილებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა კომკავშირულ კრებებზე გულღია და პრინციპული კამათი. ფორმალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დასახულია ეფექტიანი საშუალებები და გზები.

ახლა თითოეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ბიუროებმა და კომიტეტებმა დიდი მონდომებით, ამასთან საზრიანად უნდა იმოქმედონ მიღებული დადგენილებების უთუო განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ ამ კრებებზე გამართულ პრინციპულ საუბარს ცოცხალი საქმე მოჰყვეს. სიტყვისა და საქმის, ფორმისა და შინაარსის ურთიერთკავშირი — აი ეს არის ახლა უმთავრესი ამოცანა.

სწორედ იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა ეს კრებები რესპუბლიკის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში, რა კეთდება მიღებული დადგენილების შესრულების, კომკავშირლებისა და ახალგაზრდების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის, როგორ ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ ამ საქმეში კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიული კომიტეტები, მოგითხრობთ ჩვენი კოლექტიური კორესპონდენტის — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის მიერ მომზადებული მასალები.

ფორმალიზმი ჩვენი სერიოზული მტერია...

ფორმალიზმი ბიუროკრატიზმის ფარია. იგი ჩვენ ყველას სერიოზულად გვაწუხებს.

ფორმალისტის ფსიქოლოგია და ზნე ცნობილია: გარეგნულად ასეთი მუშაკის საქმიანობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა, არსებითად კი ყველაფერს შინაარსი აქვს გამოცლილი — სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, ფორმას შინაარსი ეწირება...

ძირს ფორმალიზმი! ძირს მლიქვნელები! ბრძოლა გამოვუცხადოთ ყოველივე ცრუს, ანტიპოდურს, რაც შეუთავსებელია პატიოსანი და პრინციპული პიროვნების ცნებასთან, რაც უცხოა ჩვენი მორალის, მოქალაქეობრიობის, კლასობრიობისა და პარტიულობისათვის.

ე. შევარდნაძე

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი!

თბილისი ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი ყოველწლიურად 360-მდე კვალიფიციურ სპეციალისტს ამზადებს რესპუბლიკის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის. აქ ამჟამად 1065 მოსწავლე ეუფლება ნორჩთა გულის მესაიდუმლის კეთილშობილურ პროფესიას.

ეს სასწავლებელი ამ პროფილის ერთადერთი სასწავლო დაწესებულებაა რესპუბლიკაში, რაც, ცხადია, გახუზომლად ზრდის აქაური თითქმის 100-კაციანი პედაგოგიური კოლექტივის პასუხისმგებლობას.

ამ დღეებში აქ გულახდილობისა და პრინციპულობის ვითარებაში გაიმართა რესპუბლიკური კომკავშირული კრება. ნაკლის გაბედულად გამოვლინება და აღიარება, მისი გამოსწორების კონკრეტული გზებისა და საშუალებების დასახვა, გულახდილობა და პრინციპულობა კი, მოგეხსენებათ, აღმზრდელობითს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სურათზე: კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ვლ. მაჩაბლის ფოტო.

პარტიის მზრუნველი ხელი

პარტიის თიანეთის რაიკომის ბიურომ განიხილა რესპუბლიკურ კომკავშირულ კრებებზე — „ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი!“ — რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

იმ დღეს პარტიის თიანეთის რაიკომის ბიუროს რიგგარეშე სხდომის მონაწილენი მხოლოდ ერთ საკითხს — რესპუბლიკურ კომკავშირულ კრებაზე რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის საკითხს განიხილავდნენ...

ასზე მეტი კრიტიკული შენიშვნიდან და წინადადებიდან, რომლებიც ახალგაზრდებმა გამოთქვეს თავიანთი ორგანიზაციების კრებებზე, პარტიის რაიკომის ბიუროს განხილვის საგნად აქცია ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, რომელთა გადაჭრისათვის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას, ქალთშვილებსა და ჭაბუკებს პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების დახმარება სჭირდებოდათ.

როგორც ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, თუმცა ბევრი ასეთი შენიშვნა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა აქამდეც მრავალჯერ გამოთქვეს, მაგრამ ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის გულგრილობით მათ მოგვარებას არ ეჭნა და არ დაადგა საშველი. ამიტომაც პარტიის რაიკომის ბიუროს განსაკუთრებული სიმკაცრით ემსჯელა სწორედ ასეთი მუშაკების შესახებ, ოღონდ ... [illegible] ... მიიღო.

[illegible] ... ფაქტიც, რომ მიმდინარე რესპუბლიკური კომკავშირული კრების აქტიურობამ, იმ გულახდილობამ, პრინციპულობის, ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფერომ, რომელიც დამახასიათებელი იყო რაიონში გამართული კომკავშირული კრებებისათვის, მრავალი პრობლემა წარმოაჩინა. რაც მთავარია, ახალგაზრდებმა უშუალოდ კრებებზეც დასახეს მათი გადაჭრის გზები და საშუალებები და უმეტესობა კრებების მიმდინარეობის პერიოდშივე გადაჭრეს.

ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების პირველ პუნქტში ნათქვამია: „დაეგალოს რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განიხილონ რესპუბლიკურ კომკავშირულ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები. საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობის, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გულმოდგინედ შეისწავლონ ისინი პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად და დასახონ მათი გადაჭრისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები“.

უდავოა, რომ პარტიის თიანეთის რაიკომის ყურადღება და ზრუნვა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისათვის, ახალგაზრდებისათვის, მათი პრობლემებისათვის კიდევ უფრო აამაღლებს თიანეთი კომკავშირელების და ახალგაზრდების ბრძოლისუნარიანობას, აქტიურობას, დაეხმარება მათ უკეთ მუშაობაში.

სიტყვას საქმე ამშვენებს

ჩუნების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი.

ამასთან ერთად კრების მონაწილეებმა პრინციპულად იმსჯელეს მრავალ მტკივნეულ საკითხზე, გაბედულად გამოაშკარავეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, დასახეს მათი გამოსწორების გზები და საშუალებები.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლოვანებათა შეცნობა და გულახდილი აღიარება საქმის მხოლოდ ნახევარია, მთავარი კი — მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლა — ჯერ კიდევ წინაა. ახლა, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სიტყვიდან საქმეზე, თვითკრიტიკიდან თვითკონტროლზე გადასვლა, საჭიროა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა. ნათქვამია, სიტყვას საქმე ამშვენებსო. ამიტომაც მარტენელებმა ახლა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ამ კრების დადგენილების უთუო შესრულებისათვის. მით უმეტეს, რომ, როცა მიზანი ნათელია, მისკენ სწრაფვა იოლდება...

ჩვენს ხელთ არის თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ ტექნოლოგის ლია ჭოლოკავას მიერ რესპუბლიკურ კომკავშირულ კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა:

„ნაკლები ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის სამართლიანი მოთხოვნების შესრულებას. საწარმოს კომკავშირის კომიტეტი უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს ახალგაზრდობის პრობლემებით, იბრძოლოს მათი გადაჭრისათვის. ფორმალიზმი ამ საქმეში ვნებს მთელ კომკავშირულ საქმიანობას. მუშა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი თბილისში ჩაუწერელად მუშაობს. აუცილებელია მათი საცხოვრებელი პირობების მოწესრიგება“...

— ჩვენთან მართლაც ძალიან ბევრი პრობლემაა, რომლებიც უშუალოდ ახალგაზრდებს ეხება,— ამბობს ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. გარდაფხაძე — გასაუმჯობესებელია მათი შრომის და საყოფაცხოვრებო პირობები. არ გვაქვს საერთო საცხოვრებელი. ხშირად თვის ბოლოს იმის გამო, რომ ნედლეულით ცუდად გვამარაგებენ და გეგმის შესრულებას საფრთხე ექმნება, დასვენების დღეებშიც ვმუშაობთ.

დავინტერესდეთ მუშების სამუშაო პირობებით და ერთი წუთით შევიხედოთ საამქროებში.

— სავენტილაციო მოწყობილობის დამონტაჟება შარშან მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრებინათ, მაგრამ დღემდე არ დაუყენეს საშველი, — ამბობს ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ს. ცქიმანაური. — ფაბრიკის მომცრო ეზოში სკამიც არ არის, რომ მუშამ შესვენებისას მაინც დასვენოს სუფთა ჰაერზე, საამქროებს არა აქვს გასახდელები, საშხაპე ოთახები.

სათანადოდ არ ზრუნავენ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, თვითდინებაზეა მიშვებული დამრიგებელთა მუშაობა. ამიტომაც არის, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან მოსული მუშა ახალგაზრდობის უმრავლესობა, ტოვებს ფაბრიკას. მაგალითად, 1976 წელს საბაზო 35-ე სასწავლებლიდან ფაბრიკაში მოვიდა 69 ახალგაზრდა, რომელთაგან 35-მა იმავე წელს მიატოვა სამუშაო, დღეისათვის მათგან მხოლოდ 19 შემორჩა საწარმოს. 1977 წელს პროფტექნიკუმდამთავრებული 70 სპეციალისტიდან ამჟამად ფაბრიკაში მუშაობს 24, ხოლო 1978 წელს საწარმოში განაწილებით მოსული 49 ახალგაზრდიდან მხოლოდ 14 დარჩა.

დამეთანხმებით, გულსატკენი სტატისტიკაა. თამამად შეიძლება ითქვას, ეს იმის შედეგიცაა, რომ ზაფხულის პერიოდში პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ფაბრიკაში გადიან საწარმოო პრაქტიკას და ხედავენ იმ პირობებს, რომელშიც მათ მომავალში მუშაობა მოუწევთ. ამიტომაც წინასწარ იჭერენ თადარიგს, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გაიქცნენ ფაბრიკიდან.

ვესაუბრეთ ფაბრიკის ერთ-ერთ კომკავშირულ ახალგაზრდულ ბრიგადის თავკაცს დალი ჯანგიძეს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ფაბრიკა მიატოვოს და სხვაგან ეძებოს სამსახური.

— რატომ?

— ჩვენს ფაბრიკაში ძალიან ბევრი რამ მოუწესრიგებელია. აქ პროფესიული ზრდის არავითარი პერსპექტივა არ არის. ჩვენს მოთხოვნებს არავინ აქცევს ყურადღებას. მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არა გვაქვს. ჩვენთვის არ არსებობს შაბათი და კვირა... ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდებს მუშაობის გარდა დასვენება და გართობაც ხომ გვინდა!

ალი თბილისელი გახლავთ და ბინის პრობლემა არ აწუხებს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდების მდგომარეობა — ისინი ხომ ცოტანი არ არიან საწარმოში.

აი, რას ამბობს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის მკვიდრი ჟუჟუნა ფილფანი, რომელიც უკვე ცხრა წელია მუშაობს მკერავად.

სასწავლებელშიც და ფაბრიკაშიც გვეუბნებოდნენ, თბილისში ადვილად ჩაეწერებით, თქვენ ხომ მუშები ხართო. ეს თითქოს მართლაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმე კი... ახლა ფაქტიურად არსად არა ვარ ჩაწერილი და ისე ვცხოვრობ თბილისში დასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში.

ვესაუბრეთ ზემოაღნიშნული კრიტიკული შენიშვნის ავტორს ლია ჭოლოკავასაც.

— 1976 წელს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამკვირა... ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდებს მუშაობის გარდა დასვენება და გართობაც ხომ გვინდა!

ალი თბილისელი გახლავთ და ბინის პრობლემა არ აწუხებს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდების მდგომარეობა — ისინი ხომ ცოტანი არ არიან საწარმოში.

აი, რას ამბობს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის მკვიდრი ჟუჟუნა ფილფანი, რომელიც უკვე ცხრა წელია მუშაობს მკერავად.

სასწავლებელშიც და ფაბრიკაშიც გვეუბნებოდნენ, თბილისში ადვილად ჩაეწერებით, თქვენ ხომ მუშები ხართო. ეს თითქოს მართლაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმე კი... ახლა ფაქტიურად არსად არა ვარ ჩაწერილი და ისე ვცხოვრობ თბილისში დასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში.

ვესაუბრეთ ზემოაღნიშნული კრიტიკული შენიშვნის ავტორს ლია ჭოლოკავასაც.

— 1976 წელს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამ-

როცა დადგენილება ქაღალდზე რჩება...

რატომ მიდიან ფაბრიკიდან ახალგაზრდები?

თავრების შემდეგ სამუშაოდ რომ თბილისში გამანაწილეს, თავდაჰრველად კიდეც გამიხარდა. მაგრამ აბა, რა ვიცოდი აქ ასეთი ცუდი პირობები თუ იქნებოდა. დღემდე თბილისში ჩაუწერავად ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში. ასეთ დღეში მხოლოდ ერთეულები რომ ვიყოთ, კიდევ არაფერს ვიტყოდი, მაგრამ...

რას აკეთებს ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტი მდგომარეობის გამოსწორებისათვის?

გასულ წლებში ჩატარებული კომკავშირული კრებების დადგენილებებში ლაპარაკია იმაზე, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდობის პრობლემებს, რომ საჭიროა დაისვას საკითხი ამათუ იმ ორგანიზაციის წინაშე. სამწუხაროდ, დადგენილებათა უმრავლესობა ზერელეა, ზოგადია, არ არის ცნობილი შესრულებისათვის პასუხისმგებელი. ამიტომაც არის, რომ დადგენილებათა პუნქტები დაუსრულებლად მეორდება.

— ახალგაზრდობის სამართლიანი მოთხოვნები, — ამბობს რ. გარდაფხაძე, — ბევრჯერ დავსვით კომკავშირის თბილისის კიროვის სახელობის რაიკომის წინაშე, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტს კი ასეთი სერიოზული საკითხების გადაჭრა უჭირს.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ საანგარიშო კრებას რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ლ. შენგელია ესწრებოდა,—განაგრძობს იგი. — კრებაზე ვილაპარაკეთ ჩვენი ახალგაზრდობის პრობლემებზე. ბოლოს მინისტრის მოადგილეს სამინისტროს მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიც გადავეცით. დღესაც არ ეიცით, თუ რა ბედი ეწია მათ.

გადავინაცვლოთ კომკავშირის თბილისის კიროვის რაიკომში.

— ჩვენს რაიონში, — ამბობს რაიკომის მდივანი გ. ჯანჯალაშვილი, — 135 კომკავშირული ორგანიზაციაა და ყველა საჭირბოროტო საკითხის განხილვას, ბუნებრივია, ვერ ვასწრებთ. სამკერვალო ფაბრიკა „ამირანიდან“ ჩვენს წინაშე არავის დაუყენებია მსგავსი საკითხები...

როგორც ს. ცქიმანაურმა გვითხრა, 1975 წლის 25 აპრილს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომას მიუღია დადგენილება, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: „თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა პარტიის თბილისის კიროვის რაიკომთან ერთად განიხილოს საკითხი სამკერვალო ფაბრიკა „ამირანისათვის“ „სპორტივაჟრობის“ რესპუბლიკური ბაზისა და სასადილოების № 1 ტრესტის მიერ დაკავებული დამატებითი ფართობის გადაცემის შესახებ.“

საკითხი განხილეს, შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ... ფაბრიკა „ამირანს“ არაფერი ეშველა. სხვადასხვა დროს ანალოგიური საკითხი დაისვა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშეც. მაგრამ ასევე უშედეგოდ.

ბოლოს და ბოლოს გასცდება თუ არა დადგენილება ქაღალდის ფურცლებს? როდის გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის?

„ახალგაზრდა კომუნისტის“ მინაწერი: დიახ, საკითხი უნდა დაისვას, სახელდობრ, ასე—გაცდება თუ არა დადგენილება ქაღალდის ფურცლებს? და საკითხი, უწინარეს ყოველისა, უნდა დაისვას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პირადად მინისტრის მოადგილის ამხ. ლ. შენგელიას წინაშე, რომელიც ასე უყურადღებოდ მოეკიდა ახალგაზრდობის წინადადებებს, აგრეთვე სხვა კომპეტენტური ორგანოების წინაშეც, რომლებიც მოწოდებული არიან ყურად იღონ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა, ახალგაზრდობის მოთხოვნები, პრაქტიკული ღონისძიებები განახორციელონ წერილში აღნიშნული საჭირბოროტო საკითხების დროული მოგვარებისათვის.

რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობისაგან არ აფავისუფლებს ფაბრიკის ხელმძღვანელობას, საქართველოს კომკავშირის თბილისის კიროვის რაიკომს, არც თვით ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციას.

გვინდა შევახსენოთ მათ ის აზრი, რომელიც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა: საკმარისი არ არის მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვით, გადაწყვეტილებით; საჭიროა მხარდაჭერა საქმით, კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებით“.

სახელდობრ ასეთ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებით მხარდაჭერის აუცილებლობაზეა ლაპარაკი ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაშიც.

ალმზრდელის პოზიცია

კორესპონდენტი: ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო მოსწავლეებისათვის, არამედ მათი აღმზრდელებისა და, საერთოდ, მთელი ჩვენი სასკოლო ცხოვრებისათვის მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენა გახდა რესპუბლიკური კომკავშირული კრება. ამ კრებამ უფრო თვალსაჩინო გახადა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ავ-კარგი, გამოკვეთა მთელი რიგი საკითხები და პრობლემები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტისათვის ზრუნვა თითოეული ჩვენგანის გადაუდებელი ამოცანაა...

ნ. ჩოფიკაშვილი: ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ჩვენი სკოლის კომკავშირული კრება იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან როგორც მოსწავლეებისათვის, ისე ჩვენთვის — მათი უფროსი მეგობრებისა და აღმზრდელებისათვისაც — მრავალი მეტად საგულისხმო და საყურადღებო მომენტი წარმოაჩინა. კრებაზე გამომჟღავნდა ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის, მოჩვენებითობის, ზედაპირულობისა და არსებული ნაკლოვანებების მიფუჩეჩების ცდების არაერთი ფაქტი, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია სასკოლო ცხოვრებაში. ამიტომაც ყოველი ასეთი კონკრეტული ფაქტი და მაგალითი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების კრებების მსჯელობის საგანი გახდა.

განსაკუთრებით სასიხარულო და აღსანიშნავია, რომ ამ კომკავშირულმა კრებამ, რომელიც ყველგან პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში გაიმართა, კიდევ უფრო გაუღრმავა ჩვენს ახალგაზრდობას და, მით უფრო, მოსწავლე ახალგაზრდობას კოლექტივიზმის, მოქალაქეობრიობის, საერთო საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამას კი, დამეთანხმებით, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი პედაგოგი ა. მაკარენკოც ხომ ხაზგასმით აღნიშნავდა, მრავალ სხვა თვისებასთან ერთად, რომელიც მამაც ადამიანს უნდა ახასიათებდეს, უმნიშვნელოვანესია უნარი, შეგეძლოს გულწრფელად და გულახდილად თქვა სათქმელი ყველას გასაგონად, რადგანაც შეგნებული გაქვს, რომ იგი მარტო შენი ინტერესებიდან კი არა, შენი ამხანაგების, კოლექტივის ინტერესებიდან.

ბაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პედაგოგი ნათელა ჩოფიკაშვილი

კორესპონდენტი: როგორც უკვე ვთქვით, თქვენი სკოლის კომკავშირული კრების მონაწილეებმა მრავალი კონკრეტული ფაქტი და მაგალითი აღნიშნეს, რომელთა გათვალისწინება და გამოსწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმას, რომ უფრო გამიზნული გახდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სკოლებში, გაიცლებით გაააქტიურდეს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, ამაღლდეს მოსწავლეთა როლი და ავტორიტეტი. თქვენ, როგორც სკოლის პარტორგანიზაციის მდივანს, კრებაზე დასმულ საკითხთა და პრობლემათა ამ წრიდან რომელი მიგაჩნიათ უფრო არსებითად და რომელს უფრო ანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას?

ნ. ჩოფიკაშვილი: ჩვენი, სკოლის პედაგოგი კომუნისტების, უპირველესი საზრუნავია აღვზრდოთ ახალგაზრდობა აქტიურ პოლიტიკურ მებრძოლებად, განვუვითაროთ მას ინიციატივის გრძნობა, ავამაღლოთ მისი საზოგადოებრივი აქტიურობა. თუმცა, გულახდილად ვიტყვი, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, რომ ამ მხრივ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ. ამისათვის უფრო გეგმიანი, მიზანმიმართული უნდა გავხადოთ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ეგრეთ წოდებულ ძნელადაღსაზრდელებთან მუშაობა. ამ მხრივ ბევრი ფორმალიზმია სასკოლო კომკავშირულ თუ პიონერულ ორგანიზაციათა საქმიანობაში. ამას, სხვათა შორის, შესანიშნავად გრძნობენ და ხედავენ ჩვენი აღსაზრდელები და ამიტომაც იყო, რომ თავიანთ კრებაზე მწვავედ და პრინციპულად ილაპარაკეს ამ საკითხზე.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი გადაუდებელი საზრუნავია აგრეთვე სკოლაში დამრიგებლობის სათანადო დონეზე დაყენება, კარგია, რომ დამრიგებლობის პრაქტიკა ფართოდ არის დანერგილი ჩვენს საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში კი რატომღაც ამ უაღრესად საჭირო და საგულისხმო საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით არ ეკიდებით. არადა, ახალბედა, დამწყები პედაგოგისათვის ფასდაუდებელია კვალიფიციური, ნაცადი პედაგოგის რჩევა-დარიგება, მისი გამოდგებული მზრუნველობა, გამოცდილების გაზიარება...

უაღრესად საშური და მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ის, რომ მოსწავლეები შეგნებულად უდგებოდნენ სწავლების საქმეს. ეს პრობლემა დღესდღეობით მეტად მწვავედ დგას სკოლებში. ცხადია, ამაზეც იყო მსჯელობა ჩვენი სკოლის კომკავშირელთა კრებაზე, რომლის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზია სასწავლო პროგრამების გადატვირთვა და განსაკუთრებით კი — რეპეტიტორობის მავნე სენი.

დასასრულ, მინდა მოგახსენოთ, რომ კომკავშირულ კრებაზე გამოთქმული არც ერთი შენიშვნა და წინადადება უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია, უმნიშვნელოდ არ მიგვიჩნევია. თითოეული მათგანის მიხედვით განვახორციელეთ კონკრეტული ღონისძიება. აღმზრდელობითს მუშაობაში ხომ არც არსებობს წვრილმანები. ესეც რომ არ იყოს, ჩვენმა მოსწავლეებმა, უწინარეს ყოვლისა, ხომ სწორედ თავიანთი მასწავლებლების მაგალითით უნდა იგრძნონ სიტყვისა და საქმის ერთიანობა. მოზარდებს უნდა განვუმტკიცოთ იმის რწმენა, რომ მათ დასაბუთებულ მოსაზრებასა და პრეტენზიას გულისხმიერად ვეკიდებით და მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვიღწეთ სასურველი შედეგების მისაღწევად.

მუშური სინდისი, მშრომელი კაცის მარჯვენა... ეს სიტყვები აქ, მეტალურგიული ქარხნის ფლაგმანის — მარტენის საამქროს მოგუგუნე ღუმელებთან უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ცეცხლოვან ლავას შეჭიდებულ ბაბუკთა დაკუნთული, ძლიერი ხელები ქვეყნის სიმტკიცის, ძლიერების სიმბოლოდ ქცეულა. აქ შემოხვევითი პიროვნება, გულგრილი ადამიანი ვერც იმუშავებს.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ასე მწვავედ დაისვა საამქროს კომკავშირელთა კრებაზე ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის, მათი დაინტერესების, აღზრდის, შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი.

სიტყვას საქმე ამშვენებს

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ციფრების ენით

9891 პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში რესპუბლიკური კრება გაიმართა 20 იანვრიდან პირველ მარტამდე;

684671 კომკავშირელი, ანუ მთელი რესპუბლიკური ორგანიზაციის წევრთა 97,7 პროცენტი მონაწილეობდა კრების მუშაობაში;

110271 კომკავშირელი, ანუ კრების ყოველი მეექვსე მონაწილე გამოვიდა კამათში;

31053 კრიტიკული შენიშვნა და წინადადება გამოთქვეს კრების მონაწილეებმა კომკავშირული ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე;

682 პირველადს ორგანიზაციაში რესპუბლიკური კომკავშირული კრება ხელმეორედ გაიმართება, რადგან მათი ჩატარების დონე არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული.

სიტყვა ეძლევა აუდიტორიას

ზუგდიდი

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ახალ კორპუსში ტექნიკური დანადგარების დამონტაჟებისათვის საჭირო მოწყობილობა გვაქვს, მაგრამ მათი დამონტაჟება მაინც ჭიანურდება.

ნ. ჯანაშია,
ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ვანი

სკოლის ახალ შენობას არა აქვს სპორტული დარბაზი და კლუბი. საინტერესოა, პროექტის ავტორებმა რატომ არ გაითვალისწინეს ისინი.

გ. ენუქიძე,
ინაშაურის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე.

აბაშა

მხოლოდ ერთი წელია, რაც სკოლის ახალ შენობაში გადავედით, მაგრამ იგი უკვე ავარიულ მდგომარეობაშია. მის გასარემონტებლად თავს არავინ იწუხებს.

ქ. ნაჭყებია,
აბაშის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლის მოსწავლე.

სიღნაღი

რაიკავშირის სარემონტო კანტორამ ერთი თვის წინათ უხარისხოდ ჩაატარა მაშნაარის მაღაზიის კაპიტალური რემონტი, რის შედეგადაც მაღაზიაში კვლავ ჩამოდის წყალი და ფუჭდება საქონელი. ვაჭირის № 3 სასურსათო მაღაზიაც ავარიულ მდგომარეობაშია. ამის შესახებ მრავალჯერ ვაცნობეთ ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ დღემდე არაფერი არ შეცვლილა.

მ. დავითაშვილი,
ნ. მოსაშვილი.
ნორის კოოპერატივი.

თელავი

რკინისა და მაღალხარისხოვანი ცემენტის უქონლობის გამო რკინა-ბეტონის პოლიგონი ხშირად გაჩერებულია, რის გამოც გეგმა-ვალდებულებებს ვერ ვასრულებთ. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთავარი მომმართველის სამმართველო კი სათანადო ყურადღებას არ გვაქცევს.

ი. კაპუაშვილი,
თელავის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კომკავშირელი.

ახალქალაქი

საქართველოს სს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს რაიონული კავშირგაბმულობის კვანძში პრესის დროულად შემოტანას. ამის გამო ფოსტალიონებს არა აქვთ მკითხველებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდების საშუალება.

მ. აკოფიანი,
ახალქალაქის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის კომკავშირელი.

რუსთავი

ჩვენი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს წიგნების ორი მაღაზია. ზოგჯერ გვიგზავნიან მოსახლეობისათვის უინტერესო ლიტერატურას. ძალიან დიდია მოთხოვნები ხელმოწერით გამოცემებზე, ასეთი სახის ლიტერატურას კი მცირე რაოდენობით გვაძლევენ. კარგი იქნება თუ ქალაქის ახალ დასახლებაში გაიხსნება კომკავშირული მაღაზია, რომელსაც უკეთ მოამარაგებენ. ამის შესახებ მრავალჯერ მიმართეთ ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

ლ. გოგსაძე,
„საქწიგნის“ რუსთავის გაერთიანების მდივანი-მემანქანე.

ახალგაზრდა კომუნისტი

ჩვენი კოლექტიური კორესპონ

დრო, ამბები, მოვლენები

ინფორმაცია — 79

„ქართული სახლები“ გროზნოში

რედაქციაში ქალაქ გროზნოდან სასიამოვნო შინაარსის ბარათი მივიღეთ. გვწერს გადამდგარი პოლკოვნიკი, ფინეთის ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე პავლე ლოპატკინი.

ავტორი გვატყობინებს, რომ გროზნოში წარმატებით შრომობენ თბილისის № 14 სამშენებლო ტრესტის წარმომადგენლები. მათ იქ ექვსი ცხრასართულიანი სახლის აშენება აქვთ დავალებული, რომელთაგან ორი ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ „ფრიადი“ შეფასებით. გაზეთი „გროზნინსკი რაბოჩი“ თავის სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ქართველ მშენებელთა ნახელავი ქალაქის მშენება გახდა. ახალი სახლები, როგორც არქიტექტურული იერით, ისე შიდა დაგეგმარებით ქებას და მოწონებას იმსახურებს.

მე და ჩემმა ვაჟმა ცალ-ცალკე მივიღეთ ბინები „ქართულ სახლებში“ და აღტაცებული ვართო— გვწერს პ. ლოპატკინი.

„ქართული სახლების“ სანახავად გროზნოელები ექსკურსიაზე მოდიან. ქალაქის ბინების მრავალ შესასვლელთან შეხვედებით მოქალაქეთა განცხადებებს, რომლებიც ერთოთახიან „ქართულ ბინაში“ სამს სთავაზობენ.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბინების მომპირკეთებელთა ბრიგადამ, რომელსაც ილია ფუხაევი ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივის სამუშაო ადგილი მოწინავეთა გამოცდილების სკოლად იქცა, სადაც ბევრი გროზნოელი მშენებელი იმაღლებს თავის ოსტატობას. დიდი ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეერთე წლისთავთან დაკავშირებით ი. ფუხაევი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ჩვენ, „ქართული სახლების“ მცხოვრებლებს, გვსურს გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ თქვენი რესპუბლიკის მიერ წარმოგზავნილ მშენებლებს, — გვწერს დასასრულ წერილის ავტორი.

ფერადი სიმფონიის დირიჟორები

მეცნიერებისათვის ჯერაც უცნობია ფერთა შეხამების მართვის კანონები. მაგრამ ია არველაძეს საოცრად ზუსტად შეუძლია შეარჩიოს მათი ჰარმონიული გამები. მას, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მთავარ კოლორისტს კარგი მხატვრული გემოვნება და ფერის ზუსტი გრძნობა აქვს. იგი მართლაც ფერების სიმფონიის დირიჟორია.

კოლორისტების ლაბორატორიაში კედლებზე ჰკიდია და მაგიდებზე დევს იმ ნახატების ესკიზები და პროექტები, რომლებიც ქალალდიდან ქსოვილზე უნდა გადაიტანონ. ია და მისი მეგობარი ქრისტინე აბულაძე ქმნიან საუკეთესო ნახატების ფერების ვარიანტებს, არჩევენ საღებავებს. ისინი ამას აკეთებენ მოდის, სეზონის, იმათი ასაკის გათვალისწინებით, ვისთვისაც მზადდება ესა თუ ის ქსოვილი. გაერთიანების მხატვრები ყოველწლიურად ქმნიან 80-90 ახალ ნახატს და თითოეული მთგანისათვის კოლორისტები 8-10 ფერს არჩევენ.

ია არველაძე განათლებით ქიმიკოსი-ტექნოლოგია. კოლორისტის პროფესიას იგი ზედმიწევნით დაეუფლა საწარმოში მუშაობის ორი ათეული წლის მანძილზე. ცოდნის ასეთი შეხამება მას ეხმარება მიაღწიოს, რომ ახალი საღებავი „შეესისხლხორცოს“ ბოჭკოს, შემდეგ კი ქსოვილს. შეღებილ ნაჭრებს ცდიან სპეციალური საღებავით, სიმკაკითა და ტუტით, მშრალი და სველი ხახუნის მეშვეობით. საერთოდ ეს რთული და ხანგრძლივი გზაა. მაგრამ მხოლოდ ამ გზის წარმატებით გავლის შემდეგ შეიძლება იგი მაღალი ხარისხის ქსოვილად ჩაითვალოს.

— ახლა ჩვენ პასუხსაგები დავალება გვაქვს. — თქვა ია არველაძემ. — ლონდონში გასაგზავნად ვამზადებთ ქსოვილს „ნინო“. ამ ქალაქში გაიხსნება საბჭოთა კავშირის გამოფენა, სადაც საქართველოს დაეთმობა ცალკე ექსპოზიცია. ეს არის ექვსი სხვადასხვა სახის მოხატულობის ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი. იგი შესრულებულია მრავალნაირი კოლორიტული ფერებით.

წელს გაერთიანების კოლექტივმა უნდა გამოუშვას თერმეტი მილიონი მეტრი სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილი, რაშიც დიდ წვლილს შეიტანენ კოლორისტები.

რ. მეგრელიშვილი.
საქინფორმის კორ.



„კომუნისტის“ - ფოტოსტენდი

ცისკვეშ ბაზაფხულია, ორანჟერიაში — ზაფხული.

სუბტროპიკული კულტურების პავილიონი საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ს. კილაძის ფოტო.

ახალი ქალაქის კონტურები

ზესტაფონი. (საკ. კორ. ო. ნიჭაბაძე). ამ დღეებში პირველი პაციენტები მიიღო ფერროშენადნობთა ქარხნის მედსანნაწილის 120-ადგილიანმა საავადმყოფომ. ჯანმრთელობის კერის ახალი ოთხსართულიანი კორპუსი აღმართულია მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე, მეტალურგთა კვალითის დასახლებაში. აქ უკვე მწყობრშია ათი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებშიც 2.500-ზე მეტი კაცი ცხოვრობს.

მომავალი ქალაქი 10 ათასი კაცისათვის არის გათვალისწინებული. ყოველ ქუჩაზე თუ უბანში შეხვდებით ხორუთმაღერილ კოშკურა ამწეებს, რომლებიც სწრაფად აწყობენ ახალი საცხოვრებელი სახლების კორპუსებს. პირველმოსახლეთა განკარგულებაშია ორი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაგა-ბაღი, საფოსტო განყოფილება, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები. მიმდინარეობს და წელსვე უნდა დამთავრდეს სავაჭრო ცენტრისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა.

გიორგი პაპიაშვილი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1919 წლიდან, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაბადსპორტო სამსახურის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი, მწერალი და ჟურნალისტი **გიორგი დავითის ძე პაპიაშვილი.**

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას გამოაკლდა პარტიისა და ხალხის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, ერთგული ამხანაგი და უმწიკვლო ადამიანი.

გ. პაპიაშვილი დაიბადა 1919 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში, მან შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1936 წელს მუშად.

ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტთა ურდოების თავდასხმის პირველი დღეებიდანვე იგი სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის, ბელორუსიისა და აღმოსავლეთ პრუსიის განთავისუფლებაში. ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პარტიის ონისა და ცხინვალის რაიკომებში, ხოლო შემდეგ კი — გაზეთ „საბჭოთა ოსეთისა“ და „სტალინელის“ რედაქციებში.

1953 წელს გ. პაპიაშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთ „საბჭოთა მილიციელის“ რედაქტორად. ამ დღიდან მან მთელი თავისი ცხოვრება, ცოდნა და ენერგია მოახმარა ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს.

1966 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. პაპიაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპასპორტო სამსახურის განყოფილების უფროსად. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სპასპორტო რეჟიმის განმტკიცებაში, მოსახლეობის აღწერასა და სამეგრო მუშაობის გაძლიერებაში. მთელ თავის ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ახმარდა ახალგაზრდა ჩეკისტების წრთობასა და აღზრდას.

გ. პაპიაშვილი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი, მწერალი, დრამატურგი. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, პიესები, სტატიები და ნარკვევები; არის რამდენიმე წიგნის ავტორი. ბევრი მისი პიესა წარმატებით დადგა როგორც საქართველოს, ისე მოძმე რესპუბლიკების თეატრების სცენებზე.

თავისი მახვილი კალმით გ. პაპიაშვილი პირუთვნელად ებრძოდა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს და სახელმწიფო ქონების გამნიავებლებს, დაუნდობლად ამხარაბებდა ყველა იმათ, ვინც ღირსებას ულახავდა ორგანოს მუშაკის საპატიო სახელსა და საქმიანობას.

როგორც შინაგან საქმეთა ორგანოს ხელმძღვანელ მუშაკს, მწერალსა და ჟურნალისტს გ. პაპიაშვილს დიდი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შორის, ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობაში.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის გ. პაპიაშვილი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

თავისი საქმის ჩინებული მცოდნის, ჩეკისტის, მწერლისა და ჟურნალისტის, გულისხმიერი, კეთილი და ყურადღებიანი ადამიანის გიორგი პაპიაშვილის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა და მასთან ერთად უმუშავია.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მწერალთა კავშირი; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი

გიორგი დავითის ძე პაპიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთის ამბები

ჩიმკენტში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირიდან გამოტოვებული მატჩი მოსკოვის „დინამოსა“ და თერმეზის „ავტომობილისტს“ შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:0. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა ლატიშმა. თბილისის „დინამო“ რომ „კრილია სოვეტოვთან“ მეოთხედფინალურ მატჩს თბილისში გამართავს, მკითხველმა იცის. მეოთხედფინალური მატჩების დანარჩენმა მასპინძლებმა სათამაშოდ შემდეგი ქალაქები აირჩიეს: ჩიმკენტი, მუკაჩევო და ლვოვი. მოსკოვის „დინამო“ ჩიმკენტში მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს“, კიევის „დინამო“ —მუკაჩევოში უმასპინძლებს ცსკას, ლვოვში ადგილობრივი „კარპატი“ დუშანბეს „პამირთან“ ითამაშებს. ოთხივე მატჩი გაიმართება 20 მარტს.

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატს ლიდერობენ პრაღის „დუკლა“ (27 ქულა) და ოსტრავის „ბანიკი“ (25). აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები კვლავ წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას ევროპის საკლუბო ტურნირებშიც.

იტალიის ჩემპიონატს კვლავინდებურად ლიდერობს „მილანი“ — 33 ქულა. მეორე ადგილზეა „ფერუჯა“ — 30.

ესპანეთის ჩემპიონატში დაწინაურდა ხიხონის „სპორტინგი“ — 31 ქულა. მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი“ — 30. ავსტრიელი კრანკლი, რომელიც ახლა „ბარსელონაში“ თამაშობს, ჩემპიონატის სნაიპერთა შორის კვლავ საუკეთესოა. მას უკვე 24 ბურთი აქვს გატანილი.

ვოლოდელი შედეგით დამთავრდა მიუნხენში ადგილობრივი „ბაიერნისა“ და ბილეფელდის „არმინიას“ შეხვედრა. „ბაიერნი“ დამარცხდა ანგარიშით 0:4.

ჭადრაკის დაფებთან

ბელგრადში გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა XV საერთაშორისო ტურნირი. მერვე ტურში მაია ჩიბურდანიძემ პარტია გადადო, ხოლო ნანა ალექსანდრია ამ დღეს თავისუფალი იყო. მეცხრე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თანამემამულენი — მაია ჩიბურდანიძე და ნანა ალექსანდრია. უშეღავათო თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო მსოფლიო ჩემპიონის მცირე პოზიციური უპირატესობით. ამ პარტიის დამთავრებისას მეტოქენი დაზავდნენ. ჩიბურდანიძემ მერვე ტურში გადადებული პარტია კი მოგებით დაამთავრა. ორივე ქართველ მოჭადრაკეს 8-8 შეხვედრა აქვს გამართული. ალექსანდრიამ 7,5 ქულა დააგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს. 6,5 ქულით ჩიბურდანიძე მეორე ადგილზეა.

მიუნხენში, დიდოსტატ მოჭადრაკეთა ასპარეზობის ბოლო ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ჰიუბნერი (გფრ) — 8,5 ქულა, ანდერსონი (შვედეთი) — 8, სპასკი და ბალაშოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 7,5-7,5 ქულა. დიდ ინტერესს იწვევს ბოლო ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან სპასკი და ჰიუბნერი.

ერთი ტურიც და, ტალინში დამთავრდება პაულ კერესის მემორიალი. მეთექვსმეტე ტური რიგელ დიდოსტატ მიხეილ ტალისთვის უიღბლო გამოდგა: იგი პირველად დამარცხდა. მისი მეტოქე იყო იუგოსლავი ბ. ივანოვიჩი. ტალმა უკვე ყველა პარტია ითამაშა და 11,5 ქულა დააგროვა. მისი გასწრება შეუძლია ტ. პეტროსიანს, რომელსაც ახლა 11 ქულა და 1 სათამაშო პარტია აქვს, დაწევა კი — რ. ვაჰანიანს (10,5 ქულა და 1 სათამაშო პარტია).

სოფიაში დამთავრდა ბულგარეთის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. აქ ყველას აჯობა ტ. ლემაჩკომ, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 11,5 ქულა დააგროვა. მას უახლოესი მეტოქეები 3-3 ქულით ჩამორჩნენ. ხასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ 16 წლის მ. ვოისკას წარმატება, რომელმაც 7,5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

ბუქარესტის საერთაშორისო შეჯიბრების მერვე ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი მ. ტაიმანოვი — 5,5 ქულა.

ПЕРВОЗНАЧАЛЬНАЯ ИНФОРМАЦИЯ

პირველი პრიზიორები

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ფიგურული ციგურაობის ოსტატებმა გაითამაშეს მსოფლიო ჩემპიონატის მედლების პირველი კომპლექტი: წყვილთა სრიალში პირველობა წილად ხვდათ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს ტაი ბაბილონიას და რენდი გარდნერს — 144,54 ქულა (ადგილების ჯამი — 12). ევროპის ჩემპიონებმა, მოსკოველმა სპორტსმენებმა მარინა ჩერკასოვამ და სერგეი შახრაიმ მეორე ადგილი დაიკავეს — 142,22 (16). მესამე ადგილზე გავიდნენ საბინა ბესი და ტასილო ტირბახი (გდრ) — 137,74 (32). მეოთხე ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელები ირინა ვორობიოვა და იგორ ლისოვსკი — 138,22 (33), მეხუთეზე — მოსკოველები მარინა პესტოვა და სტანისლავ ლეონოვიჩი — 133,98 (46).

ამ სახეობაში 14 წლის განმავლობაში საბჭოთა ფიგურისტებს პირველობა არ დაუთმიათ. ამჯერად მათ პოზიციები დათმეს. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღეს სახელმოხვეჭილმა საბჭოთა სპორტსმენებმა ირინა როდნინამ და ალექსანდრე ზაიცევმა. მათ სულ ახლახანს ვაჟიშვილი შეეძინათ.

სატურნირო ორბიტაზე

შაში. იტალიის ქალაქ არკოში მიმდინარეობს მატჩი მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვსა (სსრ კავშირი) და ჰარმ ვირსმას (ჰოლანდია) შორის. ოთხი ტურის შემდეგ ანგარიში 2,5:1,5. საბჭოთა დიდოსტატის სასარგებლოდ.

ფარიკაობა. უნგრეთში დამთავრდა რაპირისტ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „პანონიას თასზე“; ასპარეზობაში ყველას აჯობა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ლვოველმა ვასილი სტანკოვიჩმა.

კრივი. ქალაქ ნიკოლაევში დამთავრდა 68 შეზვეაური-მედეასანტის ტრადიციული, მეათე მემორიალი. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. სურეენკომ (ვორონეჟი), ს. ჩურიუმოვმა, ა. ნოვოკრეშჩენკომ (ორივე — კრასნოდარი), პ. ბარტუსევიჩმა, ა. შერიბმა (ორივე — ვილნიუსი), ა. ვორობიოვმა (ლენინგრადი), ა. სუზარევმა (ნიკოლაევი), ფ. შიუკაშვილმა (ჩერკასოველი), ს. ბოხდარენკომ (ნიკოლაევი), ა. ბოიკომ (ხადომი) და ნ. ტიმკინმა (მინსკი).

სროლა. ვოროშილოვგრადში მიმდინარე საკავშირო შეჯიბრებაში 50 მეტრზე პისტოლეტიდან სროლაში წარმატებით ისასპარეზა სოხუმელმა დინამოელმა მ. პაპავამ. მან 564 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. პირველობა მოიპოვა ვ. შილოვმა (სსრ კავშირის I ნაკრები) — 567 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ა. ეგრაშინი (სსრ კავშირის II ნაკრები) — 566 ქულა.

ტელევიზია

16 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — ანბეტურიენტთათვის ქიმია (ფ.), 17.30 განცხადებები (ფ.), 17.35 — შეევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — საერთაშორისო დღიური, 18.20 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 19.00 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — კონცერტი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საშშობლო, რომელიც მოიპარეს“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა ვენიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი“. (ფ.), 19.20 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფ.), 20.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.30 — საესტრადო კონცერტი, 21.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიჭუნები ოცნებობენ“.

თეატრი

16 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა (საღ. 6 ს.); **შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ III-სამე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სათაბარიგო საცოლე; მინიატიურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული;**

მეტეხის თეატრი — საბრიგადო ანი ოპერა; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლი, პლეხანოვის ქუჩა, № 127-ა) — **ის ლამაზი მზიანი დღე** (პრემიერა); **კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ნამეგობი დედოფლისა.**

რედაქტორი

ბ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 13504

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

მეცნიერებისათვის ჯერაც უცნობია ფერთა შეხამების მართვის კანონები. მაგრამ ია არველაძეს საოცრად ზუსტად შეუძლია შეარჩიოს მათი ჰარმონიული გამები. მას, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მთავარ კოლორისტს კარგი მხატვრული გემოვნება და ფერის ზუსტი გრძნობა აქვს. იგი მართლაც ფერების სიმფონიის დირიჟორია.

კოლორისტების ლაბორატორიაში კედლებზე ჰკიდია და მაგიდებზე დევს იმ ნახატების ესკიზები და პროექტები, რომლებიც ქალალდიდან ქსოვილზე უნდა გადაიტანონ. ია და მისი მეგობარი ქრისტინე აბულაძე ქმნიან საუკეთესო ნახატების ფერების ვარიანტებს, არჩევენ საღებავებს. ისინი ამას აკეთებენ მოდის, სეზონის, იმათი ასაკის გათვალისწინებით, ვისთვისაც მზადდება ესა თუ ის ქსოვილი. გაერთიანების მხატვრები ყოველწლიურად ქმნიან 80-90 ახალ ნახატს და თითოეული მთგანისათვის კოლორისტები 8-10 ფერს არჩევენ.

ია არველაძე განათლებით ქიმიკოსი-ტექნოლოგია. კოლორისტის პროფესიას იგი ზედმიწევნით დაეუფლა საწარმოში მუშაობის ორი ათეული წლის მანძილზე. ცოდნის ასეთი შეხამება მას ეხმარება მიაღწიოს, რომ ახალი საღებავი „შეესისხლხორცოს“ ბოჭკოს, შემდეგ კი ქსოვილს. შეღებილ ნაჭრებს ცდიან სპეციალური საღებავით, სიმკაკითა და ტუტით, მშრალი და სველი ხახუნის მეშვეობით. საერთოდ ეს რთული და ხანგრძლივი გზაა. მაგრამ მხოლოდ ამ გზის წარმატებით გავლის შემდეგ შეიძლება იგი მაღალი ხარისხის ქსოვილად ჩაითვალოს.

— ახლა ჩვენ პასუხსაგები დავალება გვაქვს. — თქვა ია არველაძემ. — ლონდონში გასაგზავნად ვამზადებთ ქსოვილს „ნინო“. ამ ქალაქში გაიხსნება საბჭოთა კავშირის გამოფენა, სადაც საქართველოს დაეთმობა ცალკე ექსპოზიცია. ეს არის ექვსი სხვადასხვა სახის მოხატულობის ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი. იგი შესრულებულია მრავალნაირი კოლორიტული ფერებით.

წელს გაერთიანების კოლექტივმა უნდა გამოუშვას თერმეტი მილიონი მეტრი სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილი, რაშიც დიდ წვლილს შეიტანენ კოლორისტები.

რ. მეგრელიშვილი.
საქინფორმის კორ.

ის თეატრალური სიახლეები, რომლებიც რუსთაველის თეატრის სცენაზე ხდება და რომლებსაც რეჟისორი რობერტ სტურუა ლიდერობს, ამ ეტაპზეც კი, შესაძლოა, დებატების, აზრთა შეჭლა-შემოხლის, მწვავე პოლემიკის საფუძველი გახდეს.

ახლა, როცა თეატრი მის მიერ არჩეულ გზაზე ზედიზედ ზეიმობს წარმატებებს, ძნელი არ არის ყოველგვარი იერიშობანას, მით უფრო ცალკეული პიკირების მოგერიება, ისევე, როგორც ძნელი არ არის და იოლია გამარჯვებულის მხარეზე დგომა.

„ეპიკური თეატრის“ ესთეტიკით შთაგონებული რეჟისორი რ. სტურუა „რიჩარდ მესამესაც“ უჩვეულო, განსხვავებულ სახეს უძებნის და კვლავ გვაზიარებს ახალ აღმოჩენათა იმ სიხარულს, ჭეშმარიტი, ხალასი ნიჭის გამონათება რომ იძლევა.

მეტად რთულ მასალაზე (ისტორიული ქრონიკა) აგებული და მრავალი ასპექტით ზედმიწევნით თანამედროვე ეს სპექტაკლი აგვირგვინებს იმ ძიებებს, კარგა ხნის წინათ რ. სტურუას პედაგოგებმა (დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი) რომ დალანდეს და დღეს უკვე საზოგადოებრივი აზრის თანამდგომობით მყარ ნიადაგზე ფუძნდება.

თეატრის ხელმძღვანელის მიხვედრილობა თანამედროვეობის გამახვილებული აღლოა. თანამედროვეობის გრძნობა თეატრში მხოლოდ ფორმისეული ნოვაციები და სპექტაკლში მისი უხვად გამოყენება როდია. გონიერება ის გახლავთ, როდესაც ადამიანის არსობის სხვადასხვა გამოვლინებიდან უპირატესობას ვანიჭებთ იმ ერთს, რომელიც ეპოქისათვის ყველაზე საჭვნდღეისო და თანხმიერია.

ადამიანში სახლობს ვაჟკაცური სული და თეატრსაც ხელეწიფება აუდიტორია განაწყოს ჰეროიკული შემართებით. იმავე ადამიანში არანაკლებ საცნაურია ინტიმური საწყისი, რაც ლირიკული თეატრის იდეას სინამდვილედ აქცევს, რომანტიკული — რომანტიკულად და ასე შემდეგ.

მაგრამ „ეპიკური თეატრის“ ავტორმა ბერტოლდ ბრეტმა შექმნა თეატრალური ესთეტიკა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ფხიზელ, კრიტიკულ, ანალიზურ აზრს და აზრის სიმძაფრით აღძრულ ემოციებს.

ამ ესთეტიკის მიმდევარია დღეს ქართულ თეატრში რეჟისორი რ. სტურუა. მისი ახლახან დადგმული „რიჩარდ III“ ამის კიდევ ერთი დასტურია.

განზოგადებული ღრმა აზრი მსჭვალავს მსგავსი ხასიათების სპექტაკლებში ყველაფერს. ამოსავალი ის არის, რომ ზოგადი აზრი იჭრება კონკრეტულობისაკენ და არა პირუკუ. მრავლის მანიშნებელ ამ ზოგადობას ეწირება ისტორიული ქრონიკის არათუ ქრონიკული სიზუსტე და თანამიმდევრობა, არამედ ისტორიული სიზუსტე და კონკრეტულობა გმირების, მოქმედების ადგილის, დროის, ეპოქის. ლოკალური და ერთნიშნადი აქ არაფერია. შექსპირული ვნებები აღარ იფრქვევა ვულკანური ძალით, ხასიათები მოდიფიცირებულია, ტრაგედიის ტრადიციული დადგმის ინერცია — დამუხრუჭებული. ერთადერთ სიმბოლოდ, იორკებისა და ლანკასტერების სამოკალაკო ბატალიებიდან, ბუტაფორიული წითელი ვარდიღა შემოგვრჩა. მაჩაბელისეული ლექსითი თარგმანი შეცვლილია ზ. კიკნაძის ჩინებული პროზაული თარგმანით. მაშ, რაღა დაგვრჩა? დარჩა უმთავრესი და უპირველესი — შექსპირული აზრის სიღრმე და ვნებიანობა, კაცთმოძულეობის, ძალმომრეობის, ცინიზმის ფილოსოფიის თავზარდამცემი თარგმნა, არა ჩაკეტილი, არამედ ისტორიის საზღვრებმოშლილი, შექსპირიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე ოთხი საუკუნის მწარე ისტორიული გაკვეთილების გათვალისწინებით გაღრმავებული და გამდიდრებული.

აი შექსპირიდან მომდინარე, მაგრამ ჩვენი ცოდნით, XX საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანის გამოცდილებით წაქეზებული საფინალო აზრი, რომელიც ფართო, მასშტაბური პლასტებშია გადატანილი და რეჟისორული მეტაფორიული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ორთაბრძოლებშიც კი ომის მახვილი დიდ სივრცეს წვდება, მსოფლიოს ითრევს და კატასტროფის წინაშე ვდგებით, მარცხდება, პირქვე ემხობა უსამართლოდ აღზევებული ტირანი, მაგრამ არის საშიშროება, რომ ყოველი მოისპოს და დამარცხებულმაც კი სამარეში გადაიყოლოს სამყარო ვრცელი. ან კიდევ: ომი, ჟამი ძნელბედობისა სულერთთანად ამიშვლებს ადამიანების, სამთავროების, სახელმწიფოების ნამდვილ სახეს: რიჩმონდი — სიკეთისა და სამართლიანობის დამცველი, მოხდენილი, პირმშვენიერი ათლეტური ჭაბუკი (მსახიობი ა. ხიდაშელი); რიჩარდი — ენით უთქმელი ბოროტების, სიავკაცისა და სიმახინჯის სიმბოლო.

ამ სპექტაკლში სწორედ შექსპირული ძალის აზრობრივი სიღრმეა საცნაური და არა შექსპირის ქრონიკის ისტორიულობა. მ. ჩახავას მარგარიტას კარაბადინივით ხელში უპყრია შექსპირის თხზულება და წინასწარმეტყველის იდუმალება მოსავს; მისი წყველა ბედისწერის განჩინებაა და არა გამწარებული ქალის დაქადნება. სამყაროს წინასწარმეტყველი აქ თავად შექსპირია და არა აღმოსავლური კარაბადინები.

საერთოდ ამ სპექტაკლში მსახიობმა ქალებმა (ნ. ფაჩუაშვილი — ლედი ანა, მ. თბილელი — დედა, ს. ყანჩელი — ელიზაბეთი) თავი ისახელეს. შეიძლება მათ თამაშში სპექტაკლის სტილისტიკისათვის ცოტა რამ შეუთავსებელია, მაგრამ სისხლხორცეულ სახეებს ქმნიან და საშიშ სქემატურობას თავს აღწევენ.

შესანიშნავია ამ სპექტაკლის დებიუტანტები ჭაბუკი მ. ნინიძე

თეატრი

ჩვენი ეპოქის თვალსაწიერიდან

შექსპირის „რიჩარდ III“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

შენს გვერდით დატრიალებულ ჯოჯოხეთს ვერ გრძნობ; მოიმედე ხარ კეთილშობილების, ადამიანობის, მოძმეთა თუ ძმათა ტრადიციული ურთიერთობის ინერციისა და იმას კი ვერ გრძნობ, ყოველივე რომ ძალსა და ძალმომრეობაზეა დამყარებული. გარემოცვასთან ეს კონტრასტულობა ცინიზის თემას ამძაფრებს და თავად კლარენსის სახეს ირონიის მსუბუქი სამოსით მოსავს. ეს სახე უშუალო განცდისა და გარდასახვის ერთადერთი ფაქტია სპექტაკლში. მართალი ცხოვრების ილუზია აქ სწრაფწარმავალი და ეფემერულია. ყველა სხვა შემთხვევაში კი ჩვენ ვხედავთ თამაშს, თეატრში თეატრს, ვხედავთ თანამოაზრეთა კოლექტივის მიერ ნაცნობი ტრაგედიის ახალ შემოქმედებითს ინტერპრეტაციას, ფაქტებისა და მოვლენების დისტანციურ შეფასებას.

წარმოდგენა-გათამაშების ირონიის, დისტანციური შეფასების სიმბოლოდ ავიმბური და კრიტიკული თვალით მომზირალი მასხარაც შემოსახლა რეჟისორმა სპექტაკლში. მსგავსი „მასხარა“ თანამედროვე მსახიობის სახით ყველა როლს ჰყავს ჩასაფრებული, განსახიერებული როლისადმი მსახიობ-მოქალაქის კრიტიკული დამოკიდებულების თვალსაზრისი სწორედ ამას გვაუწყებს.

გაბატონებული ფორმა ამგვარი დამოკიდებულებისა ირონიაა, ზოგჯერ სატირა და სარკაზმიც. გაიჩნია, ვინ რას იმსახურებს. ჰენრიხ მეოთხეს კომიკურს უკადურესი ფორმებით „უმასპინძლდება“ მსახიობი ა. მაზარაძე.

ქვეყნის წინამძღვრის სუსტი ნებისყოფა, ყველაფრის მმტეველი არალოგიკური ჰუმანურობა მუდამ ძვირად დასჯდომიათ ხალხებს. თუ გავიხსენებთ ამას და იმასაც, რომ ჰენრიხ მეოთხე განცხრომასა და გარყვნილებაში იყო ჩაფლული, გასაგები უნდა გახდეს შექსპირისეული გმირის მიმართ მსახიობის რადიკალური დამოკიდებულების ხასიათი.

ა. მახარაძის სამსახეობა (ჰენრიხ IV, არქიეპისკოპოსი, მასხარა) კარგად მოერგო სპექტაკლს.

ცენტრალური როლის დაძლევა შექსპირის დაძლევის ტოლფასოვანია. ეს მით უფრო ითქმის „რიჩარდ მესამეზე“, სადაც ყველა მოქმედება მთავარი გმირის გარშემოა თავმოყრილი.

გახდა თუ არა ცნობილი, რომ რიჩარდს რამაზ ჩ